პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი, 20 მაისი 1937 წ. № 113 (4914)

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

დღეს გაზეთშია:

— მასწავლებელს—მაღალი კვალიფიკაცია (მეთაური).
— პარტიული კადრების აღზრდა („პრავდის“ მეთაური).
— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) X ყრილობა.
— ძლიერების, სიხარულის, სიჭაბუკის პარადი.
— ლ. თიკანაძე—მრეწველობის ენერგეტიკული ბაზა მესამე ხუთწლედში (ფელეტონი)
— საუზმე ამხ. ლიტვინოვის პატივსაცემად პარიზში
— საბჭოთა კავშირის გმირის ს. ა. ლევანევსკის ძირძველი გადაფრენა ჩრდილოეთის პოლუსზე
— ესპანეთში ახალი მთავრობა
— ესპანეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია.
— ესპანეთის ფრონტებზე.

ბიბლიოთეკა

მასწავლებელს—მაღალი კვალიფიკაცია!

მასწავლებელს, სკოლის აძ ცენტრალურ ფიგურას, ლენინი ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა. ჯერ კიდევ 1909 წელს ლენინი წერდა: „ყოველ სკოლაში უველაზე მთავარია ლექციის იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. რით განისაზღვრება ეს მიმართულება? ლექტორთა შემადგენლობით—მთლიანად და სავსებითო“.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ სახალხო მასწავლებელი ლენინის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეადგენდა. „სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, როგორზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“ — ამბობდა ლენინი. ამ გენიოსური ანდერძის შესასრულებლად ლენინი გვავალებდა: „უნდა ვცდილობდეთ მის გონებრივ ამაღლებას, მის ყოველმხრივად მომზადებას დიდი საქმისათვის და, — რაც ყველაზე უმთავრესია, უპირველესი — მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას“.

ხალხთა საყვარელი ბელადის, პარტიის ლენინ-სტალინის მეთაურობით საუკეთესოდ შესრულებულია ის, რაც ლენინს უმთავრესად, უპირველესად მიაჩნდა. ყველა მშრომელთან ერთად, ჩვენი სახალხო მასწავლებლის მატერიალური მდგომარეობა ისეთ სიმაღლეზეა დაყენებული, როგორზედაც არასოლეს არ შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. პარტიისა და მთავრობის მთელი რიგი დადგენილებანი, მასწავლებელთა პერსონალური სახელწოდების შემოღება და სხვა ღონისძიებანი კიდევ უფრო ამდიდებენ მასწავლებლის როლს.

მასწავლებელთა მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვისაც ყოველგვარი პირობაა ჩვენში შექმნილი. მაგრამ, სამწუხაროდ, განათლების ორგანოები და თვით მასწავლებლებიც ამ უაღრესად მდიდარ საშუალებებს საკმაოდ ვერ იყენებენ. მასწავლებელთა პოლიტიკური და სპეციალური - პედაგოგიური მომზადება ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული.

ამ მხრივ, როგორც მასწავლებელთა პირველი რიგის ატესტაციის წინასწარი შედეგებიდან ირკვევა, საქართველოში აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლების მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილის პოლიტიკური და პედაგოგიური მომზადების დონე ძალიან დაბალია. საქართველოს 15 რაიონში 300-ზე მეტი ისეთი მასწავლებელი აღრიცხება, რომელთაც საშუალო განათლება არა აქვთ. ბაშკირეთის რაიონში დაწყებითი სკოლის 92 მასწავლებლიდან 78 დაბალი განათლებით არის, ხაშურის რაიონში 36 მასწავლებელს არა აქვს საშუალო განათლება.

მასწავლებელთა მომზადების დონე დამაკმაყოფილებელი ვერ არის თბილისშიაც. პირველი რიგის ატესტაციაში გატარებულ მასწავლებელთაგან კიროვის რაიონში სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლის სახელოდებაზე გამოცდები უნდა ჩაბარეს 66 მასწავლებელმა, 26 კომუნარის რაიონში — 51-მა, ორჯონიკიძისაში — 35-მა, სტალინის რაიონში — 54-მა.

უარესი მდგომარეობა გვაქვს სხვა რაიონებში. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონში პირველი რიგის ატესტაციაში გატარების შემდეგ 169 მასწავლებელმა ვერ მიიღო პერსონალური სახელწოდება. მახარაძისაში — 106-მა, ლანჩხუთისაში — 79-მა, სოხუმის რაიონში — 220-მა.

საატესტაციო კომისიები ასეთ მასწავლებლებს უნიშნავენ ვადას, რომლის განმავლობაში მათ ისე უნდა აიმაღლონ თავისი კვალიფიკაცია, რომ შესძლონ საექსტერნო გამოცდებისა და პედაგოგიური მინიმუმის ჩაბარება.

უნდა ითქვას, რომ განსახკომს ასეთ მასწავლებელთა დასახმარებლად, საექსტერნო გამოცდებისათვის ბაზების გამოყოფის გარდა, ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია. განსწავლებლობამ არც კი იცის, თუ რას ჰგულისხმობს განსახკომი პედაგოგიურ მინიმუმში, ვის მიმართოს დახმარებისა და კონსულტაციისათვის. საქმე ისაა, რომ განსახკომს გამოცდებისათვის გამოყოფილი სკოლები და უბაღლესი სასწავლებლები ძირითად გაძღვანებით კმაყოფილდებიან, რადგანაც მათთვის არავის დაუვალებია კონსულტაციების ჩატარება, მასწავლებელთათვის დახმარების გაწევა.

ასეთ პირობებში ყოველად უმსგავსოდ მუშაობს განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი, რომლის მუშაკები უპრინციპო კონკლაობაში გაერთხენ და საქმე მიივიწყეს.

მასწავლებელთა პოლიტიკური და პედაგოგიური მომზადების დაბალი დონის ერთერთი მთავარი მიზეზი თვით მასწავლებლები არიან. ბევრ მასწავლებელს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ მასწავლებელში მიღებული ცოდნა, თუ ის სისტემატურად არ ღრმავდება, ყოველდღიურად არ მდიდრდება, საკმარისი არ იქნება ახალი თაობის ისე აღსაზრდელად, როგორც ამას ლენინი და სტალინი გვასწავლიან.

ატესტაციის დროს ბევრი მასწავლებელი აშკარა უვიცობას იჩენდა მიმდინარე პოლიტიკის, მეურნეობისა და პედაგოგიკის აქტუალურ საკითხებში. ისინი არ იცნობენ ჩვენი ქვეყნის მიღწევებს, ეს იმიტომ, რომ არ კითხულობენ პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, არ ეწაფებიან ჩვენი ქვეყნის კულტურის მიღწევებს, არ მუშაობენ საკუთარ თავზე.

ბევრ მათგანს არ გააჩნია ოდნავ დამაკმაყოფილებელი ცოდნა იმ საგანშიაც, რომელსაც თვითონ ასწავლის. მაგალითად, მასწავლებელი ო. ბურსულაიას (გეგეჭკორის რაიონი) აზრით — „საბჭოთა კავშირი ესპანეთს ეომება“. ამავე რაიონის სკოლის მასწავლებელი ახალაია დარწმუნებულია, რომ „ევროპა არის სახელმწიფო“. თბილისის სკოლების მასწავლებლები ვაშლომიძე, თვალავაძე და ა. კვერცხოშვილი თავის მოკლე ბიოგრაფიის დაწერას ისე ვერ ახერხებენ, რომ 20-25 შეცდომა არ დაუშვან. ფოთის რაიონის მასწავლებელს ცანავას საქართველოს ახალი კონსტიტუცია არ ჰქონდა წაკითხული.

ასეთ მდგომარეობას იმიტომ აქვს ადგილი, რომ ზოგი მასწავლებელი საკოლო სახელმძღვანელოების ფარგლებს ვერ გასცილებია, მარტო სახელმძღვანელოში მოთავსებული მასალის ფარდაღეჭვით კმაყოფილდება, არ ცდილობს ცოდნის ყოველდღიურად გაღრმავებას.

გარდა ამისა, სკოლებში პედაგოგიური საბჭოები ბევრგან გადაქცეულია მოსაწყენ და წვრილმან საკითხებზე სალაყბო ორგანოდ, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ ისმენენ მასწავლებელთა თვითანგარიშებს, სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არ უწევენ სისტემატურ კონტროლს მასწავლებელთა თვითგანვითარებისათვის მუშაობას, განსაკომის და გაზათების განყოფილებათა ინსტრუქტორები სკოლებში გასტროლიორებივით მიდიან, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ გაკვეთილებზე დასწრებას სჯერდებიან, არ ეცნობიან მასწავლებელს, თუ როგორ და რას აკეთებს ის სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებაში.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირს ჰპირობები დაუყოვნებლივ დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. საბჭოთა სახალხო მასწავლებელი თავისი მომზადებით, კვალიფიკაციით თავისი საპატიო მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს, ხოლო ისეთი მასწავლებელი, რომელიც ჯიუტობს და არ ზრუნავს საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, უნდა ჩამოვაშოროთ საბჭოთა სკოლას.

ესპანეთის ახალი მთავრობა

პარიზი, 18 მაისი (საქინფი). ჰავასის სააგენტო ვალენსიიდან იუწყება, რომ გუშინ ნეგრინმა შეადგინა ესპანეთის ახალი მთავრობა, რომელშიაც შედიან:

პრემიერი, აგრეთვე ფინანსთა და სახალხო მეურნეობის მინისტრი ნეგრინი (სოციალისტი, ფინანსთა მინისტრი წინანდელ კაბინეტში).

საგარეო საქმეთა მინისტრი ხარალი („შემარცხენე რესპუბლიკელთა პარტიის“ წევრი, უპორტფელო მინისტრი წინანდელ კაბინეტში).

თავდაცვის მინისტრი პრიეტო (სოციალისტი, საზღვაო ფლოტისა და ავიაციის მინისტრი წინანდელ კაბინეტში).

იუსტიციის მინისტრი ირუხო (ბასკთა ნაციონალისტი, უპორტფელო მინისტრი წინანდელ კაბინეტში).

განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ტერანდესი (კომუნისტი, განათლების მინისტრი წინანდელ კაბინეტში).

მიწათმოქმედების მინისტრი ურიბე (კომუნისტი, იგივე პოსტი ეკავა წინანდელ კაბინეტში).

საზოგადო სამუშაოთა და გზათა მინისტრი რიოსი („რესპუბლიკური კავშირის“ წევრი, გზათა მინისტრი წინანდელ კაბინეტში).

სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი აიგუადე („კატალონიის მემარცხენეთა პარტიის“ წევრი, უპორტფელო მინისტრი წინანდელ კაბინეტში).

ამრიგად ახალი მთავრობა შესდგება 9 მინისტრისაგან, ნაცვლად წინანდელი კაბინეტის 18 მინისტრისა. 8 მინისტრი მონაწილეობას ღებულობდა კაბალიეროს წინანდელ მთავრობაში.

ახალ კაბინეტში შედის 3 სოციალისტი, 2 კომუნისტი, 1 წარმომადგენელი „რესპუბლიკელთა მემარცხენე პარტიისა“, 1-„რესპუბლიკური კავშირისა“, 1-„კატალონიის მემარცხენეთა პარტიისა“ და 1-ბასკთა ნაციონალისტებისა. მთავრობაში შევიდნენ სახალხო ფრონტში გაერთიანებულ ანტიფაშისტურ პარტიათა წარმომადგენლები. პროფკავშირთა ორგანიზაციების (რუშათა საყოველთაო კავშირი და შრომის ანარქო-სინდიკალისტური ნაციონალური კონფედერაცია) წარმომადგენლები არ შედიან ახალი კაბინეტის შემადგენლობაში.

პროპაგანდის სამინისტრო გადადის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის მდგომარეობაში.

ესპანეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია

ვალენსია, 18 მაისი (საქდენი). გუშინ, ესპანეთის ახალი მთავრობის შედგენის შემდეგ, გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელიც გაგრძელდა ნაშუალამევის 2 საათამდე.

სხდომის დამთავრების შემდეგ ნაციონალური თავდაცვის მინისტრმა პრიეტომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

„მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პრემიერმა ნეგრინმა მოკლე მოხსენებაში საბჭოს აცნობა თავის მოლაპარაკების შესახებ პოლიტიკურ პარტიებთან, ძირითადად გააშუქა მთავრობის პროგრამა და საბჭოს გადასცა მომავალი მუშაობის გეგმა. მინისტრთა პროტფელების რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით, უზენაესი საბჭედრო საბჭო გაუქმდება და მისი ფუნქციები გადაეცემა მინისტრთა საბჭოს. ცენტრალური გენერალური შტაბი იქნება რეორგანიზებული და მისი ფუნქციები გაფართოებული“.

შემდეგ პრიეტომ წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია:

1. „კაბინეტის პოლიტიკური შემადგენლობის გამო, მთავრობა სთვლის, რომ იგი ავტორიტეტული წარმომადგენელია ყველა პოლიტიკური პარტიისა, რომლებიც გაერთიანდნენ ამბოხების ჩაჭრობის, ხალხის თავისუფლების უზრუნველყოფისა და ესპანეთის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით.

2. გამოსთქვამს რა მწუხარებას, რომ თავის შემადგენლობაში არა ჰყავს პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მთავრობა იმედოვნებს, რომ ეს ორგანიზაციები საერთო ინტერესებისათვის გამოიცელიან თავის პოზიციას და ითანამშრომლებენ მთავრობასთან.

3. მთავრობა ჰფიქრობს, რომ მისი მთავარი მისია იმაში მდგომარეობს, რათა ხალხის მასები მიიყვანოს გამარჯვებამდე მეამბოხეებსა და უცხოეთის ინტერვენტებზე, ვინაიდან მთავრობა დარწმუნებულია, რომ შეუძლებელია მშვიდობიანობის დამყარება ესპანეთში, სანამ ამბოხება საბოლოოდ ჩაჭრობილი არ იქნება.

4. მთავრობა კისრულობს განუხრელად დაიცვას წესრიგი ზურგში, სთვლის რა ამას არსებით ფაქტორად გამარჯვების მიღწევისათვის.

5. მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საომარ ოპერაციებზე ერთიანი ხელმძღვანელობის დაწესებას, ჟრეთვე ერთიანი ეკონომიური პოლიტიკის გატარებას. ეს უზრუნველყოფილია თვით კაბინეტის სტრუქტურით.

6. მთავრობა აღსავსეა მტკიცე გადაწყვეტილებით ფრიად მჭიდრო კონტაქტი იქონიოს კორტესებთან (პარლამენტთან), რომლის წინაშე იგი დაუყოვნებლივ წარსდგება.

7. საგარეო პოლიტიკის დარგში მთავრობა განაგრძობს წინა კაბინეტის მიერ დაწყებულ საქმიანობას; მაშასადამე, მთავრობა განაახლებს ფრიად ენერგიულ პროტესტს ჩაურევლობის შეთანხმებით მისი, როგორც კანონიერი მთავრობის, უფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ.

8. მთავრობა პატივისცემით იხსენიებს მტერთან ბრძოლაში დაღუპულთ და მიესალმება ყველა გმირ მეომარს, რომლებიც იბრძვიან ფრონტებზე სახალხო რევოლუციის საქმისათვის, აგრეთვე მიესალმება იმათ, ვინც ზურგში ინტენსიურად მუშაობს წარმოებაში“.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ ბილბაოდან მიღებული ცნობების მიხედვით).

ბისკაის ფრონტი

17 მაისს, გარიჟრაჟზე, მეამბოხეთა ჯარები, გერმანიისა და იტალიის მოტორიზებული და შეჭანიზებული ნაწილების, არტილერიისა და ავიაციის დახმარებით გადავიდნენ იერიშზე რესპუბლიკელთა პოზიციების წინააღმდეგ ხატის მაღლობის რაიონში (ბილბაოს ჩრდილო-აღმოსავლეთით). ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ფაშისტები დამარცხდნენ და თავის გამოსავალ პოზიციებზე დაბრუნდნენ ბისკარგის მაღლობის უბანზე. შემდეგ ინტერვენტთა ავიაციამ ძლიერ დაუშინა ყუმბარები, რის შემდეგ ფაშისტთა ქვეითთა ნაწილებმა შეუტიეს რესპუბლიკელთა პოზიციებს. მაგრამ ბასკთა ჯარებმა, რომლებიც ჯარად იქცობენ თავისი სამშობლო მიწის ყოველ მტკაველს, თავი დაიფარეს მტრის საჰაერო ცეცხლისაგან და გმირულად გადაიტანეს ფაშისტთა ძლიერი შემოტევა. მათ უკუაგდეს ფაშისტები და მტერს დიდი ზარალი მიაყენეს.

ასტურიის ფრონტი

ლეონის უბანზე რესპუბლიკელთა შეტევა გრძელდება. მთავრობის ჯარებმა წინ წაიწიეს 6 კილომეტრით ქალაქ ლეონის მიმართულებით. რესპუბლიკელებმა დაიკავეს რამდენიმე სოფელი და ერთი მაღლობი, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ოვიედოს რაიონში რესპუბლიკელთა არტილერია ყუმბარებს უშენდა მეამბოხეთა სიმაგრეებს.

რესპუბლიკელთა ზარეზე გადმოვიდნენ 1 სერჟანტი და 22 ჯარისკაცი.

მეამბოხეთა ავიაციამ დაანგრია ჰოსპიტლები

ლონდონი, 18 მაისი (საქდენი). მადრიდიდან მიღებული ცნობით, ტოლედოს ფრონტზე მეამბოხეთა თვითმფრინავებმა განმეორებითი გაფრენის დროს დაანგრიეს შტატლანდის სამი საველე ჰოსპიტალი.

ტრიბუნაზე ცენტრში ამხ. ლავრენტი ბერია, ნაჭ. შ. ჯ. (ბ) მე-10 ყრილობის დელეგატები და ფიზკულტურული პარადის მონაწილენი.

ძლიერების, სიხარულის, სიჭაბუკის პარადი

სიხარულის, მხნეობის, სიხალისის გრძნობით იყო გაჟღენთილი თბილისის ფიზკულტურელთა პარადი, რომელიც 18 მაისს ჩატარდა.

სამხრეთის უხვი მზის სხივები იფრქვეოდა აღისფერი აბრეშუმისა და ოქრომკედით მოქარგულ დროშებზე, რომელთა ქვეშ საქართველოს სს რესპუბლიკის დედაქალაქის 35 ათასმა ფიზკულტურელმა გვიჩვენა თავისი სიყვარული და ერთგულება ფიზკულტურელთა საყეთესო მეგობრის დიდი სტალინისადმი, მთავრობისადმი.

ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანზე უკანასკნელი სამხადისი სწარმოებს.

დილის 11 საათისათვის ტრიბუნაზე ადიან საქართველოს კ. პ. (ბ) და საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები ლ. ბერია, ვ.ბაქრაძე, ფ. მახარაძე, გ. მუსაბეკოვი, ნ. ლევანდოვსკი, გ. არუთინოვი, ვ. გოგუაშვილი და დელეგატები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-10 ყრილობისა, რომელიც თბილისში მიმდინარეობს.

11 საათი და 20 წუთია.

დაფ-დაფები გვამცნობენ პარადის დაწყებას. გაისმის ბრძანება „ნაბიჯით!“.

პარადს იწყებს განსახკომის ნორჩ ფიზკულტურელთა კოლონა—სკოლების 15 ათასი მოსწავლე-ფეხბურთელები, ჩოგბურთელები. ფრენბურთელები, ველოსიპედისტები... ტრიბუნასთან ცოცხალ ყვავილთა ვეებერთელა თაიგულით კოლონას გამოეყოფა სწავლის ფრაიდოსანი. ორდენოსანი ეთერ ავანცელაძე. ამ ყვავილებს თბილისის მოსწავლეთა სახელით ჩააბარებს—ეთერი „ვაშა“-სა და ტაშის გრიალში გადასცემს ტრიბუნაზე ამხანაგ ლ. ბერიას.

მთელი საათის განმავლობაში გრძელდებოდა მზით გაშავებული, ტანადი ფიზკულტურელი ბავშვების მსვლელობა.

ბავშვებს მაღლა მიაქვთ, როგორც თავისი დროშა, როგორც სიყვარულის სიმბოლო, დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლების პორტრეტები.

ნორჩ ფიზკულტურელთა კოლონების წინ მიდის განსახკომის ავტომანქანები, რომელთა გაფორმება მიძღვნილია ამა წლის სამი წესანიშნავი იუბილესადმი—პუშკინის, რუსთაველის, ჰავჰავაძის იუბილეებისადმი.

მოსწავლეთა შემდეგ მოედანზე გაიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურელ სტუდენტთა კოლონამ. უნივერსიტეტის ავტომანქანაზე, რომელიც ვეფხის ტყავით არის დეკორირებული, ვხედავთ გენიალური რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნის“ გმირებს—ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს, ნესტან დარეჯანს. წიგნის გიგანტურ მაკეტზე წარწერილია რუსთაველის სტუდენტი ფიზიკური კულტურის შესახებ.

საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა სამასწავლებლო ინსტიტუტის ფიზკულტურელ სტუდენტთა მსვლელობა. სტუდენტები მიდიოდნენ ფერადფერადი ალმებით შემკული შუბებით.

დაუსრულებელ ნაკადად მიედინებიან პარადის მონაწილენი. პროფკავშირთა კოლონას სცვლიან სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლონები.

ათეული ტრანსპარანტები გვიჩვენებენ თბილისისა და საქართველოს სასპორტო ორგანიზაციათა მიღწევებს.

„გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ცხოვრებას!“.

„გაუმარჯოს დიდ სტალინს!“—გაისმის მისალმებანი ტრიბუნიდან.

„მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი სასიხარულო ცხოვრებისათვის!“. „ფიზკულტურული სალამი ამხანაგ სტალინს!“—მოისმის პასუხად ფიზკულტურელთა რიგებიდან.

თავისი დროშებითა და ალმებით მიემართებიან სასპორტო საზოგადოებები — „ელვის“, „მკვებავის“, „ლოკომოტივის“, „სპარტაკის“ „გრიგალას“ და სხვათა ფიზკულტურელები. მძლავრ სამიათასიან კოლონად გაიარეს დინამოელებმა. ავტომანქანის პლატფორმაზეა სსრ კავშირის თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა ნაციონალური კოსტუმებით გამოწყობილი 11 ფიზკულტურელი ქალიშვილი.

მჭუხარე ტაშით ხვდებიან საზოგადოება „დინამოს“ ფიზკულტურელ დედათა კოლონას, რომელთაც მოჰყავთ ჯანსაღი, ღაჟღაჟა ბავშვები.

„გაუმარჯოს ბედნიერ საბჭოთა დედას!“.

დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილების მებრძოლ ფიზკულტურელთა კოლონის გავლა.

მძლავრ პარადს ჯანსაღი სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდობისას, რომელიც მუდამჟამს მზად არის აღსდგეს საყვარელი სამშობლოს დასაცავად, ამთავრებს თბილისის ავტოკლუბის ავტომობილისტებისა და მოტოციკლისტების კოლონა.

მოედანზე არის თბილისის 1.500 მოსწავლე. ვალსის ხმებში ისინი ასრულებენ სხვადასხვა თავისუფალ მოძრაობას.

ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი სუფალი მოძრაობანი მაშაბებით ხელში „დინამოს“ ფიზკულტურელებმა. დიდი გარჯა-ძრობა დაგვანახვეს აგრეთვე სამასწავლებლო ინსტიტუტის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ფიზკულტურელებმა, ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურული ტექნიკუმისა და ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეებმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ორდენოსანი ჯგარეშვილის ხელმძღვანელობით.

ფიზკულტურელი ახალგაზრდობის პარადი დამთავრდა ტანთმოვარჯიშე ოსტატების გამოსვლებით ორძელზე და ღერძზე. სამი საათის განმავლობაში მიემართებოდნენ კოლონები ვაჟკაცი, გაკაჟებული საბჭოთა ახალგაზრდობისა, რომელიც მზად არის გულმკერდით დაიცვას სამშობლო, ოქტომბრის მონაპოვარნი, ჩაწერილნი სტალინურ კონსტიტუციაში.

პარადს დაესწრნენ მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების დელეგაციები, აგრეთვე აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის დელეგაციები.

ამავე დღეს გახსნილ ფიზკულტურული პარკის (ყოფ. ვერის პარკი) მშვენე ხეივნებში საღამოს შესდგა ფიზკულტურელი ახალგაზრდობის მასობრივი სეირნობა. (საქდენი).

საუზმე ამხ. ლიტვინოვის პატივსაცემად პარიზში

პარიზი, 18 მაისი (საქდენი). საგარეო საქმეთა მინისტრმა დელბოსმა მოაწყო საუზმე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის პატივსაცემად, რომელიც პარიზში ჩამოვიდა. საუზმეს დაესწრნენ მინისტრები: შოტანი, განიე დიუპარკი, ჟან ზეი, ბასტიდი და სამეცნიერო-საკვლევო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჟან პერენი. საუზმეს დაესწრო აგრეთვე სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული ამხ. გირშფელდი და სხვ. საუზმემდე დელბოსი დიდხანს ესაუბრა ამხ. ლიტვინოვს, რომელსაც ახლდა ამხ. გირშფელდი.



თბილისის ფიზკულტურელთა პარადი 18 მაისს. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): დინამოელთა კოლონა; ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მილშტეინი მიესალმება ფიზკულტურელებს; „დინამოს“ გოროშილველა მსროლელები; ფიზკულტურელ მოსწავლეთა ღეროს ჯგუფი.

ფოტო კადეტოვისა და სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ბოლშევიკების x ყრილობა

17 მაისის საღამოს სხდომა

17 მაისის საღამოს სხდომაზე კამათის გაგრძელება დაიწყო პარტიის ტყიბულის რაიკომის მდივნის **ამხ. ჯავახიძის** გამოსვლით. იგი ლაპარაკობს რაიონის ეკონომიკაში შომხდარ დიდ ძვრებზე, ქვანახშირის ამოღების ზრდაზე, ტყიბულის ქვანახშირის შახტებში მექანიზაციის დანერგვაზე. მან ყრილობას გააცნო ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში ტროცკისტ მავნებელთა საზიზღარი მუშაობა და ის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულია კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის. შემდეგ ამხ. დუმბაძემ გააკრიტიკა საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობა.

შემდეგ გამოდის **ამხ. ბედია** (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილების გამგე). თავის გამოსვლაში ამხ. ბედია დაწვრილებით ჩერდება საქართველოს პარტორგანიზაციებში პროპაგანდისა და აგიტაციის მდგომარეობაზე, ბოლშევიზმის დაუფლების ლოზუნგის რეალიზაციაზე.

უკანასკნელი წლის განმავლობაში მიღწეულია პროპაგანდისტთა შემადგენლობის ერთგვარი გაუმჯობესება. ამჟამად პროპაგანდისტთა შორის ირიცხება რაიკომთა 49 მდივანი, პირველად ორგანიზაციათა პარტკომების 380 მდივანი. პროპაგანდისტთა მოსამზადებლად ქალაქ თბილისში, ჭიათურაში, სოხუმსა და ბათუმში შექმნილია სამთვიანი და ექვსთვიანი კურსები.

ამასთან ერთად ამხ. ბედია აღნიშნავს პარტიული განათლების საქმის დაყენების ნაკლოვანებებს: ჯერ კიდევ ბევრ ადგილებში არასაკმაოდ ყურადღებას აქცევენ პარტიული და საბჭოთა მუშაკების, სამეურნეო მუშაკების და სტაჟანოველების — ყრილობის დელეგატების.

დელეგატები ფართოდ აჩაღებენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ააშკარავებენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებს, ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას. დიდი ყურადღება ეთმობა თითქმის ყველა ორატორის გამოსვლებში პარტორგანიების ფარული კენჭისყრის გზით ჩატარებული არჩევნების შედეგებს, რომლებმაც დასაბამი მისცეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ რეალიზაციას.

ყრილობის 19 მაისის დილის სხდომაზე პირველ სიტყვას ღებულობს ამხ. **თურაზაშვილი** — პარტიის გორის რაიკომის მდივანი. ამხ. თურაზაშვილი ამბობს, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები რაიონის პარტორგანიზაციებში კომუნისტების არაჩვეულებრივად მაღალი აქტივობით ჩატარდა. კრებებს ესწრებოდა კომუნისტების 96 პროცენტი. კამათში გამოვიდა 417 კაცი. 11 პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. მაგრამ, აქა-იქ არჩევნებზე დაირღვა ზინაპარტიული დემოკრატია. ვინაიდან დარღვეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებანი არჩევნების ორგანიზაციის შესახებ, 5 პირველად ორგანიზაციაში არჩევნები გაუქმდა.

პარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა ფართოდ გაშლილმა კრიტიკამ და თვითკრიტიკამ ხელი შეუწყო პარტიის წესდებისა და ზინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების უხეშად დარღვევის მთელი რიგი ფაქტების გამოვლინებას. მთელ რიგ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა თვითკრიტიკის ჩახშობისა და ბოლშევიკური სიფხიზლის მოღუნების ფაქტებს.

შემდეგ ამხ. თურაზაშვილი ეხება საკონსერვო ქარხნის მუშობას, რომელიც სისტემატურად შლიდა გეგმებს საკონსერვო ტრესტის ყოფილი დირექტორის — ხალხის მტრის, კონტრრევოლუციონერ – ტროცკისტ მათითაშვილის მავნებლობის შედეგად.

ყრილობა ყურადღებით ისმენს საქართველოს სს რესპუბლიკის ზინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. **გოგლიძის** გამოსვლას. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს პარტიული და სამეურნეო მუშაკების ამოცანებზე საზიზღარ იაპონელ – გერმანელ-ტროცკისტ მავნებელთა, ჯაშუშთა და დივერსანტთა მავნებლობის შედეგების რაც შეიძლება სწრაფი ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

ამხ. გოგლიძე განსაკუთრებულად აღნიშნავს ანტირელიგიური პროპაგანდის გადაჭრით გაძლიერების აუცილებლობას. ეკლესიის მსახურთა სექტანტთა საქმიანობის გამოაშკარავების ცოტა ფაქტები როდი არსებობს. პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა განმტკიცონ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაობა, ფართოდ გაშალონ ანტირელიგიური პროპაგანდა, განსაკუთრებით სოფლად, და ამისათვის გამოიყენონ სოფლის ყველა კულტურული ძალები.

შემდეგ გამოდის **ამხ. ცეხაძე** — პარტიის ბორჩალოს რაიკომის მდივანი.

— საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გაშლილმა კრიტიკამ და თვითკრიტიკამ გვიჩვენა, რომ რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არასრულყოფილებით მუშაობის საკითხებს. პარტიული ორგანიზაციები ხშირად ეწეოდნენ სამეურნეო მუშაკთა მაგიერობას. პარტდოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის დროს რაიონში პარტიიდან გაირიცხა 34 კაცი „პასიურობისათვის“.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ჯერ არც ამხ. ორახელაშვილი და არც ამხ. ფ. მახარაძე არ გამოსულან მათ მიერ პარტიის ისტორიის გაშვებაში დაშვებული შეცდომების გაშლილი კრიტიკით.

მერე გამოდის საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ამხ. გ. მგალობლიშვილი.** ლაპარაკობს რა სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე, რომლებიც საბჭოთა საქართველომ მოიპოვა უკანასკნელ წლებში, იგი შემდეგ ჩერდება სამეურნეო მშენებლობის ნაკლოვანებებზე. უზრუნველყოფილებამ და უდარდელობამ შესაძლებლობა მისცა იაპონელ-გერმანელ-ტროცკისტ მავნებლებს დიდხანს ეწარმოებინათ მავნებლობა და ნიღაბაუხდელი დარჩენილიყვნენ. ბოლო მოვუღოთ უზრუნველობას, უდარდელობას, დოყლაპიობას, გავათკეცკოთ რევოლუციური სიფხიზლე—ასეთია ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების მოვალეობა. უნდა ვისწავლოთ კადრების ბოლშევიკურად შერჩევა და შემოწმება.

დაწვრილებით უამბობს ყრილობას პარტორგანების არჩევნების შედეგებზე თბილისის პარტორგანიზაციაში ამხ. ვ. გოგუშვილი—საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის „კომიტეტის მდივანი. პარტიული მასის უმაგალითო აქტივობით განირჩეოდა საანგარიშო-საარჩევნო კრება. არჩევნების შედეგად საგრძნობლად გახალხდნენ და განმტკიცდნენ პირველადი ორგანიზაციების პარტკომები. დიდი განახლება მოხდა პარტიის რაიკომებისა და თბილისის კომიტეტის შემადგენლობაშიც. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა კომუნისტთა დიდი რაოდენობა, რომლებიც მანამდე არასოდეს არ ყოფილან ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე. საჭიროა დაუყოვნებლივ გავუწიოთ დახმარება ამ ახალ ადამიანებს, ყოველდღიურად განვახორციელოთ მათი ინსტრუქტირება და შევასწავლოთ ისინი ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობას.

ჩერდება რა თბილისის პარტორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებებზე, ამხ. გოგუშვილი ამბობს, რომ ყველაზე უფრო სუსტი უბანი აღმოჩნდა მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებსა, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სარეწარ არტელებში. მშრომელთა ყველა ჯგუფი როდია მოცული პოლიტიკური აგიტაციით.

— საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმმა,—ამთავრებს ამხ. გოგუშვილი,—პარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხანაგი **ლავრენტი ბერია.** თბილისის პარტიული ორგანიზაცია, ამხანაგ **ბერიას** ხელმძღვანელობით, შესძლებს განახორციელოს თავისი წამყვანი როლი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა შესრულებაში.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის მსჯელ ნაკლოვანებებზე, მასწავლებელთა კადრების ცუდად შერჩევაზე ლაპარაკობს თავის გამოსვლაში ამხ. **ჭკუასელი** (საქართველოს განათლების სახალხო კომისარი).

შემდეგ გამოდის **ამხ. გ. სტურუა,** რომელიც დაწვრილებით შერჩერდა პროფკავშირების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. პროფკავშირულ დემოკრატიას ხშირად არღვევენ. პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნისა და გაუმჯობესების ამოცანა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების მხრივ მათი ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

ამხ. სტურუა მკაცრად აკრიტიკებს მიწსახკომისა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის და ამ სახალხო კომისარიატების ყოფილი მეთაურების შ. მათიკაშვილისა და გ. ყურულაშვილის მუშაობას.

შემდეგ გამოვიდა **შ. მათიკაშვილი.**

ამხ. ვ. დარახველიძე (საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე) თავის გამოსვლაში ლაპარაკობს საქართველოს სოციალისტური მრეწველობის უდიდეს ზრდაზე, რაც ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგია.

შემდეგ **ამხ.** დარახველიძე ჩერდება ტროცკისტ ბანდიტების ბ. მდივნის, ტოროშელიძის და სხვების მავნებლურ მუშაობასა და მთელ რიგ ადამიანთა ანტიპარტიულ თვალთმაქცურ საქციელზე, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამ ბანდიტებთან.

შ. მათიკაშვილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტ აღნიაშვილთან, მაგრამ, არ სურდა ეთქვა პარტიისათვის სიმართლე თავის კავშირზე ხალხის მტრებთან, თვალთმაქცობდა თავის გამოსვლაშიც ყრილობაზე. გ. ყურულაშვილმა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის აპარატში თავი მოუყარა ამჟამად მხილებულ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებს. ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ წლობით იყენებოდა უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში—ამბობს ამხ. დარახველიძე.

შემდეგ ამხ. დარახველიძე ლაპარაკობს საწარმოო აქტივთა უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელთაც იწვევენ სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითებით. მაგრამ საქართველოს ორ სახალხო კომისარიატში მოწვეული აქტივის კრებები ძალიან ცუდად ჩატარდა. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის აქტივზე გაბედული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის ნაცვლად შექების სიტყვებს ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

პარტიის თელავის რაიკომის მდივანი **ამხ. კარსანიძე** ჩერდება სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე რაიონში და ლაპარაკობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა არასწორად და ცუდ ხელმძღვანელობაზე საქართველოს მიწსახკომისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ყოფილი ხელმძღვანელების მხრივ.

შემდეგ გამოვიდა **ამხ. მზარეულაშვილი** — ფერომარგანეცის ქარხნის დირექტორი.

ამხ. მარგარიანმა (გაზეთ „პროლეტარის“ რედაქტორი) თავის გამოსვლა მიუძღვნა კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტებთან ბრძოლის საკითხებს.

შემდეგ ხელმეორედ გამოვიდა ყრილობაზე **ამხ. ფ. მახარაძე.** იგი ავსებს თავის პირველ გამოსვლას და აკრიტიკებს თავის უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს.

19 მაისის საღამოს სხდომა

ყრილობის 19 მაისის საღამოს სხდომა გაიხსნა პარტიის ყვარლის რაიკომის მდივნის **ამხ. შ. ჩიხლაძის** სიტყვით, რომელმაც ყრილობის დელეგატებს უამბო რაიკომის ყოფილი ხელმძღვანელობის შეცდომებზე.

ამხ. ჩიხლაძის შემდეგ გამოვიდა **ამხ. გვახარია**—პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი, რომელმაც ილაპარაკა რაიონის პარტორგანიზაციის მუშაობაზე კოლმეურნეობათა განმტკიცებლად.

კამათში უკანასკნელი გამოვიდა **გ. ყურულაშვილი.** ისე როგორც თბილისის პარტკონფერენციაზე, აქაც ცდილობდა იგი ფონს გასულიყო ზოგადი ფრაზებით. მაგრამ ყრილობის დელეგატებმა მოსთხოვეს მას ბოლომდე მოეთხრო პარტიისათვის თავის კავშირზე ხალხის მტრებთან, ტროცკისტ მავნებლებთან, თავის თვალთმაქცურ, ანტიპარტიულ საქმიანობაზე. ყურულაშვილის გამოსვლამ ვერ დააკმაყოფილა ყრილობა.

თავმჯდომარე **ამხ. ბაქრაძე** ამბობს, რომ კამათში გამოვიდა 63 დელეგატი. შემოვიდა წინადადება შესწყდეს კამათი. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

○

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ლავრენტი ბერია, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ოვაციით შეხვდა.

ამხანაგმა ბერიამ აღნიშნა, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის ირგვლივ გამართულ კამათში ფართოდ გაიშალა როგორც პარტიული მუშაობის, ისე სამეურნეო, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა და თვითკრიტიკა. ახლა საჭიროა, რომ ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, დელეგატები, დაბრუნდებიან რა შინ ყრილობის შემდეგ, ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ **სტალინის** მოხსენებაში აღნიშნული რთული ამოცანების განსახორციელებლად.

შემდეგ **ამხ. ბერია** ჩერდება პარტიული ორგანიზაციების მთელ რიგ კონკრეტულ პრაქტიკულ ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ამხანაგ **სტალინის** მითითებებიდან.

ჯერ-ერთი, საჭიროა უახლოეს ჟამრეებში დამთავრდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მოადგილეთა შერჩევა, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ მებრძოლ თანაშემწეებს პარტკომების მდივნების მუშაობაში და სწვევდნენ მათს მაგიერობას, როდესაც ეს უკანასკნელნი სასწავლებლად წავლენ. ეს მეტად პასუხსაგები და სერიოზული საქმეა. პარტკომების მდივნების მოადგილენი შერჩეულ უნდა იქნენ საუკეთესო, ყველაზე უფრო მტკიცე, შემოწმებული, უნარიანი კომუნისტების წრიდან.

შემდეგ **ამხ. ბერია** ლაპარაკობს ბოლშევიზმის დაუფლების ლოზუნგის პრაქტიკულ რეალიზაციაზე. საჭიროა მტკიცედ მოვკიდოთ ხელი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საქმის გაუმჯობესებას. კამათმა ცხადყო, რომ პარტიული მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. პროპაგანდისტული მუშაობის ამაღლება არ არის ადვილი, საკამპანიო საქმე, არამედ იგი მოითხოვს ენერგიასა და უნარს. ჩვენს ხელში ავიღოთ ეს საქმე და მივაღწიოთ მკვეთრ გაუმჯობესებას პარტიული მუშაობის ამ უბანზე—ასეთია პარტიულ ხელმძღვანელთა მოვალეობა.

განსაკუთრებულად აღნიშნა **ამხ. ბერიამ** მასებთან პარტიული მუშაკების კავშირის განმტკიცების ამოცანა. იყო მასებთან მჭიდროდ დაკავშირებული—ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, კარგად იცნობდე შენს აქტივს, პარტიულსა და უპარტიოს, იცნობდე ადამიანთა განწყობილება, მათი ცხოვრება და მოთხოვნილებები, დღითი-დღე ასწავლიდე მასებს და სწავლობდე მათგან.

შემდეგ ამხანაგი **ბერია** ჩერდება იმ ამოცანებზე, რომლებიც დაკავშირებულია საკავშირო კომპარტიაში (ბ) ახალი წევრების მიღებასთან, პრესის მუშაობის გაუმჯობესებასთან, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ გაშლასთან, რევოლუციური სიფხიზლის ამაღლებასთან, მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის ბრძოლასთან.

ამხანაგ **ბერიას** საბოლოო სიტყვები, რომლებშიც იგი გამოსთქვამს რწმენას, რომ საქართველოს ბოლშევიკები გვირვინებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა და პარტიის დიდი ბელადის—ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განსახორციელებლად მუშაობის ნიმუშებს, მჭიხარე, ხანგრძლივი ტაშით იფარება.

○

შემდეგ ყრილობა ღებულობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შეფასებას, ერთხმად არის მიღებული დადგენილება: **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხაზი ჩაითვალოს სწორად, პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.**

ყრილობამ აირჩია კომისია 35 კაცის შემადგენლობით საქართველოს

თბილისის ავტოკლუბი

ნაბეჭთა კავშირის გმირის ამხ. ლიაპიდევსკის მოწოდებას 500—600 ათასი მოხალისე – მოფერის მომზადების შესახებ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა გამოეხმაურა.

საბკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის დადგენილებით — „ავტომოტოსპორტის განვითარების შესახებ", ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ცენტრებში შექმნილია ავტომოტოკლუბები, რომლებიც ითვლებიან მოხალისე - მოფერთა მომზადების ძირითად ბაზად და მოწოდებულნი არიან წარმოების მოუწყვეტლივ ასწავლონ ახალგაზრდობას ავტომობილთა და მოტოციკლეტთა მართვა. ამასთან, ისინი ვალდებული არიან აწარმოონ ამ ახალგაზრდათა შორის საწვრთნელი მუშაობა სკოლის დამთავრების შემდეგ. ავტოკლუბებმა ყოველდღიურად უნდა უხელმძღვანელონ და დახმარება გაუწიონ ავტო-წრეების მუშაობას, აწარმოონ მეთოდური საკვლევო მუშაობა, ამოწმონ ამ წევრთა საქმიანობა.

ამას გარდა ავტომოტოკლუბებმა უნდა წარმოონ მუშაობა კადრის ავტომუშაკებისანც მაღი კულტურული და ტექნიკური დონის ასამაღლებლად საერთო – საგანმანათლებლო და სპეციალური ლექცია-საუბრების, გამოცდილებათა გაზიარების მოწყობით და სხვ.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ თბილისში?

ხანგრძლივ წელზე მეტია, რაც აქ ავტომოტოკლუბი არსებობს. მას ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი განაგებს და ხელმძღვანელობს.

რაც ეს კლუბი არსებობს, მან მხოლოდ ცა-მდე მიხლასტა მოფერი მომზადა, მაგრამ გასაოცრად ღიმილ მდიდარი ავტოგადარბენა — დუშეთი და უკან და ავტოგადარბენა საქართველო-სამხედრო გზაზე ეკონომიაზე მარშრუტით თბილისი—ახალციხე—თბილისი.

თითქმის არაფერია გაკეთებული მოხალისეთა შორის მუშაობის გამლის, წრეების ჩამოყალიბებისა და ახალი ჯგუფების მომზადების მხრივ.

უმეტესი, პირდაპირი დანიშნულების საქმე კლუბის შენობის მშენებლობამ გადაბარა. ამ საქმით „დატვირთულ" კლუბის გამგეობას ყველაფერი (და, ცხადია, მთავარი) სრულიად დავიწყდა, მან ვერ უზრუნველჰყო კლუბისა და ავტოსკოლის შეუწყვეტელი მუშაობა და, ნაცვლად იმისა, რომ გამოეხახა დროებითი შენობა შეკადიენობლისთვის, ეერაფერი მოიფიქრა იმაზე უკეთესი, რომ კლუბის შენებლობის განხეთლობაში სრულიად შეწყვეტა სკლუბო მუშაობა.

ხოლო კლუბის შენებლობა, გეგმით 1 ივნისისათვის რომ უნდა დამთავრებულიყო, დღესაც არ არის მთავებული.

მართალია, სკოლისათვის მოხალისეებ მწირეული არიან, მაგრამ რატომღაც 60-ის ნაცვლად იქ ძლივს 30 კაცამდე მეცადინეობს. ამ თვენახევრის წინ კი კლუბის გამგეობა დიდი რიხით აცხადებდა „ვეჩერნი თბილისის" ფურცლებზე იმ არ არსებული 50 მოხალისის შერჩევის შესახებ.

საინტერესოა გაეკვირვო ამ 30 მოხალისე ახალგაზრდის მეცადინეობის პირობებს: მეცადინეობენ მოეწყობელ კლასში, უშეხებელი და უმაგიდოდ, სკამებზე მსხდომნი, არა აქვთ ლექციების ჩაწერის საშუალება. მაძრაგლი ნაკლული მეცადინეობის დროს კი უკეთესი მდგომარეობა იყო. კლასებში საკმარისად მოიპოვებოდა სკამებიც და მაგიდებიც; საშუალებაც, გაფფართოებულობითა და უყაირათობით ეს მაგიდები და სკამები ნაწილობრივ დაიმტვრა, ნაწილიც სრულად გაჭრა.

მეცადინეობისათვის საჭირო ტექსნატერიით და სახელმძღვანელოებით კლუბმა ვერ უზრუნველჰყო თავისი თავი.

ხუთი სამოსწავლო მანქანიდან საკონტროლო პედალებით მოწყობილია მხოლოდ ერთი, დანარჩენები უქმად დგანან გარაჟებში და თანდათან ინარცვებიან ნაწილებისაგან.

გამოცდილი ინსტრუქტორების შერჩევის საკითხზე არავინ ზრუნავს. ამას კი დიდი ზიანის მოტანა შეუძლიან. ალბათ, უკანასკნელ წუთებში, როცა მოხალისეობა ფარდოდ გაიშლება და კლუბს შოფერობის სპეციალობის ახალგაზრდობის მასსები მოაწყდება, დაიწყება სრულიად უცილო ადამიანებისათვის ხელის წავლება, რომლებიც სწავლების მაგიერ დაამახინჯებენ მოხალისეს, დაუნერგავენ მათ არასწორ ჩვევებს.

ნუთუ შეუძლებელი იყო წინასწარ მოემზადებინათ, ყველაფერი იმისათვის, რომ ახალ შენობაში პირველი დღიდანვე შესაძლებელი გამხდარიყო მუშაობის გაშლა?

ნუთუ ნახევარი წლის განმავლობაში არ შეიძლებოდა ყოველივე აუცილებლის გათვალისწინება?

ობიექტურ მიზეზთა ყურით მოთრევა, თითქოს ამის გაკეთება არ შეიძლებოდა შენებლობის გამო, ცერ გაამართლებს კლუბის უდარდელ გამგეობას, რადგან ჩვენ ვიცით, რომ უფროსის გარდა კლუბის ხტატში არიცხება სამოსწავლო ნაწილის გამგეც და ავტოკლუბის ინჟინერიც (თუმცა ამ უკანასკნელის ფუნქციები გაურკვეველია), რომლებიც უმეტესად სხვა მუშაობით უფრო იყვნენ გართულნი, ვიდრე უშუალოთი და ძირითადით.

მაგალითად, სამოსწავლო ნაწილის გამგე ფანცხავა, სხვაგან ლექციების კითხვის გარდა, ძირითადად ხრამჰესშენის გარაჟში მუშაობდა, ხოლო ავტოკლუბის ინჟინერი ისრაილიანი დარბოდა მეკრავეთა წრეებზე, რომელთა ხელმძღვანელობა შემოსავლიანობის მხრივ მას უფრო მეტად აინტერესებდა, ვიდრე ავტო-კლუბის მუშაობა.

ხელფასის უწყისები კი ყოველთვის ბუღალტრულად დგებოდა, ხალხი ხელს აწერდა, ფულს იღებდა.

კლუბის უფროსი მსერიანი ნაცვლად იმისა, რომ მათთვის მუშაობა მოეთხოვნა, პირიქით, თვითონ იძლეოდა მათ უქნარობის მაგალითს. მის განკარგულებაში მსუბუქი ავტომანქანა იყო, რათა თავი გაერთვა „აუარებელი" საქმისათვის, დილიდან სალამომდე გადმოუსვლელად დაჰქროდა მანქანით და ასწრებდა მხოლოდ იმას, რომ არსებითად არაფერს აკეთებდა, სამაგიეროდ ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკიოდა გამარჯვებებზე, გეგმებზე, მყერდზე ხელს იცემდა, აწესებდა ვადებს, იძლეოდა დაპირებებს.

მას უსმენდნენ, მისი სჯეროდათ. ბედი?

კლუბი ძირითადად მუშაობისათვის მზად არ არის, სკოლისათვის მოხალისეთა შერჩევის გეგმა ჩაშლილია 50 პროცენტით, ჩატარებული ავტოგადარბენა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც საწვავის ეკონომიაა, ჩაფლავდა. არ მოიპოვება ავტომოტოკლუბის ზუსტი გეგმა, რომელიც მიმდინარე მომენტს უპასუხებდეს, ხელმძღვანელობა არ ეწევათ ავტოწრეებს, არ სწარმოებს ავტომოტოსპორტის პროპაგანდა და სხვა.

ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება ითქვას, რომ ეიკითხოთ: არსებობს თუ არა თბილისში ავტოკლუბი?

გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ ავტოკლუბი არა გვაქვს.

შესაძლოა გამოჩნდეს ვინმე უდარდელი დე გეიკიენოს: არ დაიცდით, ჯერ ხომ ხანგრძლივი წელია განვლო მხოლოდ, იქნებ მოთმინება და კლუბის საქმიანობასაც დაინახავთო.

ვეპვთობთ, კლუბის ახლანდელი ხელმძღვანელობისგან რამე სიკეთე გამოვიდეს.

მოხალისე — მოფერთა კადრების მომზადება იმდენად აქტუალური ამოცანაა დღეს, რომ მუშაობის ისე გაგრძელება, როგორც აქამდე მიდიოდა თბილისის ავტოკლუბში, საერთოდ ავტოკლუბების წინაშე დასმულ ამოცანათა უხეში დარღვევა იქნება.

ახალ საქმეს თავდადვნე ჯანსაღი და გულშემატკივარი, საქმიანი ატმოსფერო თუ არ შეიუქმნით შემდეგ გვიანღა იქნება „თითზე ცაცნი".

ახლავე, დაუყოვნებლივ, აუცილებელია ძირფესვიანად გარდაიქმნას ჩვენი დედაქალაქის ავტოკლუბის მუშაობა, უნდა გაძლიერდეს მისი ხელმძღვანელობა გამოცდილ მუშაკებით, რომელთაც შეგნებული უნდა ჰქონდეთ თავიანი ამოცანების უღიდესი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა მოხალისე-მოფერთა მომზადებაში.

საჭიროა მჭიდრო კავშირი ცენტრალურ და მოწინავე ავტოკლუბებთან მათი გამოცდილების გამოსაყენებლად.

საჭიროა საზოგადოებრიობენ დარაზმვა კლუბის გარშემო და ავტომოტოსპორტის მოხალისეთა ფართო პროპაგანდა.

საჭიროა ავტოწრეების ქსელის გაშლა და მათში ახალგაზრდების ფართოდ ჩაბმა.

კლუბმა უნდა მოაწყოს ავტოგადარბენები არა მარტო კლუბის იმ წევრთა მონაწილეობით, რომელთაც პირადი მანქანები აქვთ, არამედ ბოხალისეთა მონაწილეობითაც, მათთვის კლუბისა და იმ წარმოებადწესებულებების მანქანათა გამოყენებით, სადაც ავტო-წიგნები არსებობს.

უნდა გამოიყოს გასაძლიერებელი მანქანები (ტაქსები) მოხალისე—მოფერთათვის.

უნდა ქონდეს სპეციალური კლასი მოტოსპორტისათვის.

უნდა მოეწყოს მოტოსექცია.

კლუბთან უნდა მოეწყოს აგრეთვე მანქანათა რეპორტი, მანქანების მომარაგება ნაწილებითა და საწვავი მასალით, კონსულტაცია ავტომოტოსპორტის საკითხებზე, სადაც თვითეულ მძრაველს შეეძლება ამომწურავი პასუხის მიღება მისთვის საინტერესო საკითხზე.

ავტოკლუბის მუშაობის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს ავტოსაქმის შესწავლის მოწყურებულ მოხალისეთა დაკმაყოფილება: მან უნდა უზრუნველჰყოს დახელოვნებული მოხალისე-მოფერის მომზადება, რომელიც ყოველ წუთს, პარტიისა და ხელისუფლების პირველ დავალებისთანავე, მზად იქნება მოუხმოს საბრძოლო მანქანის საჭეს.

ეა რაც მოითხოვენ ავტოკლუბისგან.

ა. მარიამიძე.

ბათუმის საზღვაო ბაზის წითელფლოტელები ფეოდოსი ტურკინი და ლოგინ უსტინოვი მეცადინეობენ ტყვიამფრქვევზე.
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ვენახის პირველი ნამღერა საშრომეში

(ცაგერი, „კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

რაიონმა გადაჭარბებით და ვადაზე შეასრულა საქმიწსაბკომის მიერ მიცემული გეგმა ამერიკული ვაზის სადედის გაშენებისა და ლერწის მყნობის დარგში. 25 აპრილისათვის დამყნილი იყო 360 ათასი ლერწი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 230 ათასისა, გაშენებულია 16 ჰექტარი ვენახი (ნაცვლად ხუთისა) და 5 ჰექტარი ამერიკული ვაზის სადედე (გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით). დროულად შესრულდა აგრეთვე წინასწარი საგაზაფხულო სამუშაოები მსხმოიარე ვენახებში.

ამჟამად რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების წინაშე დგას მეტად პასუხსაგები ამოცანა, რომელზედაც ბევრად არის დამოკიდებული ყურძნის მოსავლიანობის გადიდება. ეს ამოცანაა ვენახის პირველი და მეორე წამლობის დაუგვიანებლივ და მაღალხარისხოვნად შესრულება. ამ მხრივ რაიონში მეტად სავალალო მდგომარეობაა. კოლმეურნეებს, კოლმეურნეობათა უმეტეს ნაწილს და ერთპიროვნულ მეურნეებს თითქმის არ გააჩნიათ შაბიამანი. ეს უმთავრესად რაიაღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების (გამგე ამხ. ხუბუკელაშვილი) აშკარა დაუდევრობით არის გამოწვეული.

„საქსოფლმომარაგებამ" შარშან დეკემბერში ცაგერის რაიონს 19 ტონა შაბიამანი მისცა. ეს საჭირო იყო პირველი წამლობისათვის, „საქსოფლმომარაგების" ქუთაისის განყოფილებიდან შაბიამანი უნდა გამოეყოდა რაიაღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას. ამ უკანასკნელმა მხოლოდ ათი ტონა გამოისყიდა, ცხრა ტონა შაბიამანი კი „დაიკარგა". ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებმა შაბიამანი უსისტემოდ, უგეგმოდ დაარიგეს ყველაზე ვისაც კი მოესურვებოდა. არ გაანაწილეს იგი გეგმიანად კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებზე. ამის გამო მოხდა ის, რომ ზოგიერთმა მეურნემ შეისყიდა ორი-სამი წლის საყოფი შაბიამანი, ხოლო მევენახე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა საგრძნობ ნაწილს შაბიამანი ახლა საძებარი აქვს.

ვენახის პირველი წამლობის დრო უკვე დადგა. იგი 20—25 მაისს უნდა დამთავრდეს. ცაგერის რაიონის პარტიულმა საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ მევენახე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შაბიამანით უზრუნველსაყოფად.

ბ. ყურაშვილი

უზრუნველვყოთ გეგმიანი ბრძოლა

ნოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდებისა და მაღალი ხარისხისთვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგროტექნიკური ღონისძიებათა სწორად და დროულად გატარებას, კერძოდ, მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის სწორ ორგანიზაციას.

ამ ღონისძიებათა სწორი და დროული გატარება კი მთლიანად დამოკიდებულია მცენარეთა თვითეული მავნებლისა და ავადმყოფობის საფუძვლიან შესწავლაზე — უნდა ვიცოდეთ გავრცელების ფართობი, მისი სიხშირე და ცალკე სტადიებში მავნებლისა და ავადმყოფობის საზარალო მოქმედების უნარიანობა.

საჭიროა ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, აგრეთვე მათ მოსაზღვრე ადგილებში, პოულოს მავნებელთა და ავადმყოფობათა სისტემატური აღრიცხვა-გამოკვლევა.

მცენარეთა მოვლა-მომსახურების გასაწევად ყოველ მეურნეობაში უნდა გამოიყოს სიგნალიზატორი, რომელიც თვალყურს ადევნებს მეურნეობაში მავნებელთა და ავადმყოფობათა გამოჩენას, მათს გავრცელებას, მიუთითებს მეურნეობის ხელმძღვანელობას, მეურნეობის ხელმძღვანელობა კი პასუხისმგებელია მეურნეობის ადმინისტრაციის წინაშე.

გარდა მეურნეობაში გამოყოფილი სიგნალიზატორებისა, ამ მოვალეობას შეასრულებენ აგრეთვე რაიონში მომუშავე აგრონომები, მავნებელებთან ბრძოლის სპეციალისტები, აგროტექნიკოსები.

შარშან აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში მიწსახკომის მარცვლეულ კულტურათა სამმართველოს სამგამოკვლევ ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად დღემდე რაიონებში გამოყოფილია 1.100-მდე სიგნალიზატორი. მათ გადასამზადებლად ადგილებზე მოეწყო 3-10 დღიანი კურსი – კონფერენციები. მიმდინარე წლისათვის მიწსახკომის მიერ მიღებულია ზომები სოფლის მეურნეობის მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ღონისძიებების მხოლოდ დროულად და სწორად გატარებით მივაღწიოთ იმას, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ მათი გავრცელება და კულტურათა დაზიანება, მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

პ. ოდიშარია.

ბოროტმოქმედნი „სოიუზპროდმაგში"

„სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს სოციალისტური საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წყაროსა-წყინდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო.

ის პირნი, რომელნიც ხელჰყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, წარმოადგენენ ხალხის ძტრებს".

უნდა ვიფიქროთ, რომ სტალინური კონსტიტუციის ეს მუხლი იციან „სოიუზპროდმაგის" დირექტორმა ი. ფურცელაძემ და მისმა ძმა-ბიჭებმა, მაგრამ მათ ეს ხელს არ უშლის სოციალისტური საკუთრების განიავებაში.

ი. ფურცელაძე ერთი წუთითაც არ აკლებს მზრუნველობას „სოიუზპროდმაგში" მოკალათებულ ჟულიკთა თაიგულს, რომელიც შეხმატკბილებულად ანიავებს სახალხო დოვლათს.

ამის დასადასტურებლად აღვნიშნოთ გაფლანგვის ის ზოგიერთი ციფრი, რომელიც ჩვენს ხელთ არის.

მაგალითად რუსტამხადეს № 7 ბაკალეაში საქონლის პარტიებით ქურდობის ადგილზე მიასწრეს, მაგრამ პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად ფურცელაძის ბრძანება № 410-ით რუსტამხადე დაწინაურებულ იქნა საბაკალეო სექციის გამგედ № 8 მაღაზიაში, 1936 წლის ხუთ ოქტომბრიდან. ამ დღიდან 9 დეკემბრამდე რუსტამხადემ მოასწრო... მხოლოდ 11.251 მან. 90 კაპ. გატანება. ახლა იგი უდარდელად დასეირნობს.

ფურცელაძის ერთგული ფიჩხაძეს 1.000 მანეთის „დანაკლისი" აღმოაჩნდა № 7 მაღაზიის საბაკალეოში. ფიჩხაძის დანაშაული აცნობეს ფურცელაძეს, მაგრამ დასჯის მაგიერ, ფურცელაძის წყალობით, ფიჩხაძე № 8 მაღაზიაში საბაკალეო განყოფილების გამგის მოადგილედ დანიშნეს. გათამამებულმა ფიჩხაძემ აქ, ფასების სისტემატურად დამახინჯებისა და საქონლით კერძო პირებთან სპეკულაციის გარდა, 8 ყუთი ლილა მოიპარა, მაგრამ ფიჩხაძის პასუხისგებაში მიცემისათვის თავი არავის შეუწუხებია.

ყოფილი ეაჭარი არმენაკ გეურქოვი ფურცელაძის უერთგულესი კაცია, რომელმაც 2.000 მანეთი გაჭყლანგა № 3 გასტრონომში. გეურქოვი ამხილეს დანაშაულში, მაგრამ კიდევ უფრო სარფიან ადგილზე გადაიყვანეს, № 8 მაღაზიაში სარძო და სათევზე განყოფილება ჩააბარეს, აქ ხუთი თვის განმავლობაში გეურქოვმა 10.000 მანეთამდე ჩაჭყლაპა. ყველა ფიქრობდა, რომ იგი მიეცემოდა პასუხისგებაში, მაგრამ მფარველიც ამ დროსაა საჭირო და გაფლანგვის დაფარვის მიზნით გეურქოვს ერთხელ 1635 მან. 35 კაპ. ჩამოაწერეს, მეორედ 3.491 მან. 89 კაპ. ხოლო მესამედ და მეოთხედ ჩამოაწერეს 3.758 მან. 2 კაპ. გეურქოვი ამჟამადაც, ფურცელაძის მზრუნველობის ქვეშ, მუშაობს „სოიუზპროდმაგის" კანტორაში.

№ 8 მაღაზიის წერტი № 4-ის გამგემ ლევან კოსტოშვილმა 9631 მან. 97 კაპ. გაჰფლანგა. № 8 მაღაზიის საბაკალეო განყოფილებაში სტეფანე ოვაანისა და მიხეილ პირალოვის მიერ გაფლანგულია 2188 მან. 48 კაპ. ისინი დღესაც თავისუფლად დადიან.

სხვას არც ტატიანა ანდრეევა ჩამორჩა. ტატიანამ 1015 მან. 29 კაპ. გაჰფლანგა № 8 მაღაზიის საკანდიტროში.

ცხრაბილ ლოთს და ფასების პოლიტიკის დამმახინჯებელ მურადოვს 700 მანეთი ჰქონდა გაფლანგული № 6 მაღაზიაში. იგი გადაიყვანეს № 8 მაღაზიაში, სადაც ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ ზედმეტი აღმოაჩინეს 1.600 მანეთი.

ინსტრუქტორმა დროზდოვმა № 9 ბაკალეაში ნარჩენ-ნამცეც 160 კილო ყველზე შეაყენა აქტი, თითქოს 438 კილო იყოო... დროზდოვი დაუყოვნებლივ უნდა მიეცათ პასუხისგებაში, მაგრამ ფურცელაძემ იგი თავის განკარგულებაში გაიჩინა, „სოიუზპროდმაგის" კანტორაში და რამდენიმე თვეს აძლევდა ხელფასს.

თბილისის ავთიაქებში

ამას წინათ გამართულ თბილისის აფთიაქების მუშაკთა თათბირზე გამოირკვა, რომ ჯერჯერობით ძალიან ცოტა არის გაკეთებული აფთიაქების კეთილმოწყობისათვის. ბევრების მხრივ თბილისის აფთიაქების დიდი ნაწილი (მე-6, 10, 12, 13, 16) ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ასეთ სააფთიაქო შენობებში დღეღამეში 500—600 რეცეპტის ნორმალურად გაშვება შეუძლებელია. შენობებით, მოწყობილობისა და ინვენტარის ხარისხით, გაფორმებით და სასუფთავითაც კი—გასტრონომიული მაღაზიები ზოგჯერ უკეთესად გამოიყურებიან, ვიდრე აფთიაქები. ეს იმიტომ, რომ არც საქართველოს და არც თბილისის საათიაქო სამმართველოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ აფთიაქების კეთილმოწყობას, მათს გაფორმებას, კულტურულად მოხვედრას. ერთხელ მოინდომეს კარლო მარქსის სახელობის ხიდთან მდებარე აფთიაქის სანიმუშოდ გაფორმება. გააფორმეს კიდეც, მაგრამ ეს აფთიაქი ახლა სანიმუშოდ მაღაზიას უფრო ჰგავს, ვიდრე აფთიაქს. წესსაც განზრახული აქვთ რამდენიმე აფთიაქის გაფორმება, მაგრამ არ იციან, როგორ გააკეთონ ეს.

აფთიაქების მუშაობაში მრავალი ნაკლია. ამ ახლო ხანში, როცა აფთიაქები ნორმების გადაჭარბებით შესრულებას გამოეკიდნენ, წამლის ხარისხი მიიღწყეს,— წამალი ნაუცბათევად, ცუდად მზადდებოდა. ასეთ მდგომარეობას ნაწილობრივ ღელავს აქვს ადგილი მე-16 და მე-17 აფთიაქებში. აფთიაქები ცუდად მარაგდებიან ჭარუნგოული ინსტრუმენტებით, შუშეულობით, ტრაფარეტებით. ხშირად 200—300 გრამ წამალს ბორჯომის ბოთლში ასხამენ. მე-5 აფთიაქში (გამგე ალ. შუბლაძე) თურმე მომხმარებელს თვითონ მოჰქონდა შუშა და საფასურსაც იხდიდა. თბილისის ფარმაცევტული ქარხანა აფთიაქებს ვერ აწვდის საჭირო მედიკამენტებს (ჩკინის ალბუმინატი, ქლორ-კალციუმი, ბუროვის ხსნარი, შხარე ნუშის წყალი და სხვ.).

აფთიაქების უკეთ მომარაგებას ხელს უშლის სასაწყობო მეურნეობაში არსებული პარალელიზმი. თბილისში საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს და თბილისის თავთავიანთი საწყობები აქვთ. საქ. სააფთიაქო სამმართველოს საწყობებიდან თბილისს თავის საწყობში გადაჰქვს კუთვნილი წამლები. გარდა იმისა, რომ ეს აუარებელ, ზედმეტ ხარჯებს (წლიურად 196 ათას მანეთს) იწვევს, თბილისის საწყობი ზედმეტ რგოლსაც წარმოადგენს. საჭიროა ასეთი პარალელიზმის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

თბილისის ფარმაციის დარგის მუშაკთა შორის ძალიან სუსტად არის გაშლილი მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა. აფთიაქის მუშაკთა პოლიტიკური მომზადების დონე დაბალია. აფთიაქებსა და ფარმაციის მუშაკებს შორის არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, სადაც არის, ფორმალური ხასიათს ატარებს, შესრულებას არავინ ამოწმებს, არ ხდება მოწინავეთა წახალისება, ჩამორჩენილთა დახმარება.

საქართველოს და თბილისის სააფთიაქო სამმართველოებმა ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოუღონ.

შ. ჯიბუტი.

ლ. თიკანაძე

მრეწველობის ენერგეტიკული ბაზა მესამე ხუთწლედში

მესამე ხუთწლედში საქართველოში მრეწველობის განვითარების ძირითად პრობლემას წარმოადგენს ენერგეტიკული ბაზის პრობლემა, რამდენადაც ენერგეტიკა არის მრეწველობის მთავარი საფუძველი. ამიტომ მესამე ხუთწლედის მრეწველობის გეგმის დამუშავებას წინ უნდა უძღოდეს ენერგეტიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. სავსებით გასაგებია, რომ მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელები უკვე აყენებენ საკითხს და მოითხოვენ პასუხს, თუ როგორი იქნება მესამე ხუთწლედში ენერგეტიკული ბაზა, რომ ამის ნიადაგზე დასახონ მრეწველობის განვითარების გეგმა.

ენერგეტიკული მეურნეობის განვითარების მხრივ საქართველოს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები გააჩნია. საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს შორის იგი ყველაზე მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, რაც იაფი ჰიდროენერგიის უხვად გამომუშავების შესაძლებლობას იძლევა.

მეორე მხრივ, საქართველოს მრეწველობა და რკინიგზის ტრანსპორტი დიდ მოთხოვნილებებს აყენებს ჰიდროენერგიაზე. საქართველო განსაკუთრებით მდიდარია მინერალური ნედლეულით, რომლის გადამუშავების ნიადაგზე იქმნება ელექტროტევადი მრეწველობა (ფეროშენადნობთა, აზოტის, ალუმინის წარმოება და სხვ.). მრეწველობის ეს დარგები, რამდენადაც ისინი ენერგიას დიდი რაოდენობით საჭიროებენ, შეიძლება განვითარდნენ იაფი ჰიდროენერგიის ბაზაზე.

საქართველოში ჰიდროსადგურების მშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო და უკვე საკმაო წარმატებები გვაქვს. ექსპლოატაციაში მყოფ ზაჰეს და რიონჰესს მიმდინარე წლის ბოლოს ემატება აწჰესი და ტყვარჩელის თბოელექტროცენტრალი (პირველი რიგის აგრეგატი). ამ ოთხი ნადგურის სიმძლავრე შეადგენს 126 ათას კილოვატს. 1938 წელს უნდა ამუშავდეს ტყვარჩელის თბოცენტრალის მეორე აგრეგატი 25 ათასი კვტ. სიმძლავრისა და თბილისის თბოელსადგური — 12 ათასი კვტ. 1939 წელს ამუშავდება სოხუმჰესი — 20 ათასი კვტ., ხოლო 1940 წელს — ბრამჰესი 90 ათასი კვტ. სიმძლავრით. ამით საქართველოს ელექტროკვანძში შემავალ სადგურთა სიმძლავრე 273 ათას კვტ.-ს.

საქენერგოს მეტად ფრთხილი გათვლებით შეიძლება, 1942 წელს (მესამე ხუთწლედის ბოლოს) ელენერგიაზე მოთხოვნილება შეადგენს 1.750 მილ. კილოვატსაათს, ელსადგურების მთლიანი სისტემა კი გამომუშავებს მხოლოდ 1.210 მილ. კილოვატსაათს. ამგვარად, დეფიციტი გვექნება 540 მილ. კილოვატსაათი. მაგრამ ნამდვილად დეფიციტი კიდევ მეტი იქნება, რადგან საქენერგოს, ელენერგიის დეფიციტის გამო, ბალანსში ხელოვნურად შეუმცირებია მოთხოვნილება. მაგალითად, ფეროშენადნობთა ქარხანა ბალანსში შეტანილია 12 ღუმელის სიმძლავრით. ნამდვილად კი ქარხნის საპროექტო სიმძლავრე არის 18 ღუმელი, რომლებიც ჯერ კიდევ მე-2 ხუთწლედში უნდა ამუშავებულიყვნენ, მაგრამ მხოლოდ ელექტროენერგიის ნაკლებობამ შეუშალა ამას ხელი. მესამე ხუთწლედში მათი მთლიანად გაშვება აუცილებელია, რადგან მაღალხარისხოვანი ლითონის წარმოების ზრდა დიდ მოთხოვნილებას აყენებს ფეროშენადნობზე (ფერო-სილიციუმი, ფერო-მარგანეცი, სილიკო-მარგანეცი, ფერო-მოლიბდენი). ამ წარმოების შეკვეცა ყოველდ შეუწყნარებელია, ვინაიდან ძასზე დამოკიდებულია მთელი რიგი ცნობილი ლითონის კონსტრუქციების და მანქანების დამზადება. თუ მთლიანად ავიღებთ ქარხნის 18 ღუმელს, ელენერგიის მოთხოვნილება გაიზრდება 260 მილ. კილოვატსაათით. საკმარისად არ არის აღრიცხული აგრეთვე ელენერგიის საყოფაცხოვრებო მოხმარება თბილისში. 1942 წლის ნორმად თითო მკვიდრებე აღებულია 120 კილოვატსაათი. ეს ნორმა მეტად დაბალია, თუ მხედველობაში მივიღებთ შუშის ხარჯვის შემცირების აუცილებლობას ტყეების დაცვის მიზნით. როგორც ცნობილია, საქართველოს ტყეები ნიადაგის დაცვის და ჰავის რეგულირების ხასიათისანი არიან, და შესაბამისად მათი განადგურება, როგორც დღემდე ხდებოდა, დიდი დანაშაული იქნებოდა. საჭიროა მე-3 ხუთწლედში მაინც ფართოდ გამოვიყენოთ ელექტროენერგია ბინების გათბობაზე და სამხარეულოში. ამითომ ელენერგიის სულადური მოხმარების ნორმა 1942 წლისათვის უნდა გადიდდეს 180 კილოვატსაათამდე, ამით ბალანსი გადიდდება 30 მილ. კილოვატსაათით.

ყველა შესწორებებს რომ თავი დავანებოთ, ზემოხსენებულიოდენ ენერგიის დეფიციტი 1942 წლისათვის შეადგენს, სულ ცოტა 850 მილ. კილოვატსაათს, ე. ი. იმდენს, რამდენის გამომუშავებაც შეუძლიან ზაჰეს, რიონჰესს, აწჰესს, ტყვარჩელგრესს და სოხუმჰესს ერთად აღებულს. როგორც ვხედავთ, ბალანსი მეტად დაბაბულია, და თუ შევსებული არ იქნა, საქართველოს მეურნეობის შემდგომ განვითარებას შეფერხება მოელის. გარდა ამისა, ენერგომშენებლობის მესამე ხუთწლედის გეგმაში გათვალისწინებული ჰიდროელსადგურთ მძ. რიონზე. მაგრამ ზოგიერთ ამხანაგს შესწორება შეაქვს ამ მოსაზრებაში, რითაც კითხვის ქვეშ აყენებს ამ სადგურის მშენებლობას.

ნამხვანჰესის მშენებლობას სხვა სადგურებთან შედარებით მრავალი უპირატესობა აქვს. მაგალითად, უკვე შედგენილია ამ სადგურის სქემატური პროექტი და სამოლოდ გამოკვლეულია მშენებლობის ადგილის გეოლოგია, რაც შესაძლებლობას იძლევა — დაწყებულ იქნას მშენებლობა 1938 წლიდან. ვიუხედავად მშენებლობის გრანდიოზულობისა (კაშხალის სიმაღლე იქნება 160 მეტრი, წყალსაცავის ტევადობა 1.840 ათასი კუბმეტრი, მშენებლობა დაჯდება დაახლოებით 400 მილიონი მანეთი), მაინც შესაძლებელი იქნება მისი დამთავრება მე-3 ხუთწლედის უკანასკნელ წელს, როდესაც განსაკუთრებით დიდი იქნება ელენერგიის დეფიციტი.

ნამხვანჰესი ყველაზე ძლიერი სადგურია დღემდე დასახულ ყველა ჰიდროსადგურს შორის. მისი სიმძლავრე იქნება 250 ათასი კვტ. და წლიურად მუშაობით ერთი მილიარდ კილოვატსაათი ენერგიის გამომუშავება, ე. ი. მთლიანად დაფარავს 1942 წლის დეფიციტს და ზოგიერთ რეზერვს შექმნის მე-4 ხუთწლედისათვის. მასთან, რაც მთავარია, ენერგიის 70 პროცენტი რეგულირებული (მუდმივი, არასეზონური ხასიათისა) იქნება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის და ტრანსპორტის მუშაობის რეჟიმისათვის. ჩვეულებრივი ჰიდროსადგურების ნაკლს სწორედ ის წარმოადგენს, რომ ისინი სეზონური ხასიათის ბრიან და მუდმივად ერთდაიმავე სიმძლავრეს არ იძლევიან. მართალია, ხრამესი მარეგულირებელი სადგური იქნება, მაგრამ თავისი სიმძლავრით და წლის მარაგით მას შეუძლია მხოლოდ ამჟამად არსებული სადგურების რეგულირება.

ნამხვანჰესი ახლოს იქნება საქარველოს ელექტროკვანძის მთავარ ხაზთან (სადგური 27 კილომეტრით იქნება დაშორებული ქ. ქუთაისს) და ადგილად შეუერთდება ელსადგურთა მთლიან სისტემას. ამასთან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თავისთავად ეს სადგური ახლოს იქნება ენერგოტევად საწარმოებთან (ფეროშენადნობთა ქარხანა, აზოტის ქარხანა და სხვ.) და ამ

გამფლანგველთა თავშესაფარი

(ბათუმი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

არ იქნა და აჭარაკოოპკავშირის აპარატს გაჯანსაღება არ ეღირსა. სახელმწიფო ქონების გაფლანგვა — განიავება, საქონლის ფუჭად ირატად შეძენა, ჩაწოლა, გადაფასება აქ ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული.

ჯერ იყო და 1934 წლიდან აჭარაკოოპკავშირს „ხელმძღვანელობა“ ყოველგვარი კომპეტენციის სამაგალითოდ მცოდნე, აჭარაში კარგად ცნობილი გარო ავამჯახოვი მან 1932-33 წლებში, როდესაც ბათუმის კომუნალურ ბინათა მშენებლობის უფროსად ითვლებოდა, შესძლო გაეხადებინა ხანგრძლივი პატიმარი მანდატი.

ამის შემდეგ, როგორც „მშენებლობისა და განაშენის მცოდნე“, მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგედ დაუნიშნეს. ალბათ, ფიქრობდნენ: მუშაკთა ბინებში გამოსწორდება. ცდამცდა, რა თქმა უნდა, მშენებლობა „გამოარკვია“ თავის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი...

ბოლო მუშაკთა ლიკვიდირებულ იქნა. ამის შემდეგ ის აჭარაკოოპკავშირს მოევლინა ხელმძღვანელად, ისე მშვენივრად „ხელმძღვანელა“ ამ ორგანიზაციას, რომ მის დროს გაფლანგვების საერთო რიცხვი 600.000 ლარეთამდე ავიდა.

ჩამოაწერეს თუ თვითონ ჩამოიწერა ეს თანხები, გამოურკვეველია, მხოლოდ ერთი ვა ფაქტია: ეს ვაუბატონი დღეს თამბაქოს ტრესტის დირექტორად მუშაობს და შეძლებისამებრ აფუჭებს თამბაქოს ხარისხს.

აგამჯახოვის შემდეგ აჭარკოოპკავშირს ხელმძღვანელობს ამხ. ალ. ერისთავი, რომელიც ყველაფერ ამას დიდ ყურადღებას აქცევს, მაგრამ ამ ორგანიზაციას „დროებით“ უძღვება მისი მოადგილე ამხ. შუშანიძე, სავალო საქმის სრულიად უცოდინარი. ის ემყარება საორგანიზაციო—სარევიზიო გაყოფილების გამგეს ამხ. პოლიო ახდრაადეს, რომელსაც წარსულში სახარბიელო რეპუტაცია არ ჰქონია.

ქობულეთის კოოპერაციაში ბუხჰალტრად მუშაობდა პაველ გამყრელიძე, რომლის დაფდევრობით განიავდა 83.833 მანეთი. ქობულეთის კოოპერაციის ახალმა თავმჯდომარემ ამხ. მ. დიასამიძემ მიღება—ჩაბარების დროს გამოარკვია ეს საქმე, აცნობა აჭარკოოპკავშირს და მოითხოვა საანგარიშო დარგის მუშაკების გაშყრელებისა და მისი დამკვიდების წინააღმდეგ ზომების მიღება. ამის შემდეგ, აჭარკოოპკავშირის დადგენილებით (№ 29-25/IV) გაშყრელიძე, „ვინაიდან ვერ უზრუნველყოფ ანგარიშების დროულად წარმოდგენა, არ ყოფილა მისი მუშაობა აუცილებელი“, რაშიც ბელი შეუწყო მტაცებლობას“, სამუშაოდან... გაანთავისუფლეს!

ბოლო მეორე დღეს აჭარკოოპკავშირის ხელმძღვანელები სწერენ ბრძანებას: დაანიშნოს ამხ. გამყრელიძე ინსტრუქტორ—რევიზორად.

დღეს გამყრელიძე „კონტროლს“ უწევს ქობულეთის მთელი რაიონის კოოპერაციის ფინანსურ მუშაობას.

ვინ მოსთვლის რამდენი კომპინაციებსა კეთდება იმ ორგანიზაციაში, რომლის აპარატი სახელგანთქმულმა „ხელმძღვანელმა“ აგამჯახანოვმა დასტოვა და რომლის შეცილება და გაჯანსაღება დღემდე ვერავინ შესძლო!

საც არის სეზონის საქონელი, სადაა ვაუბატონი ვაჭრობა?..

და განა შესაძლებელია კულტურული ვაჭრობის გაშლა იქ, იმ უმოქმედო და უთავო ორგანიზაციაში, სადაც გამფლანგველები და კომპინატორები ბუდობენ?

◇

მწერალი ნოვიკოვ-პრიბოი ბათუმში

ბათუმი, 17 მაისი (საკ. კორ.). სევასტოპოლიდან ბათუმში ჩამოვიდა მწერალი ნოვიკოვ-პრიბოი, ავტორი ცნობილი ნაწარმოებისა „ცუსიმა“. მისი ჩამოსვლის მიზანია გაეცნოს წყალზე დამბმარე სადგურის მუშაობას და ესაუბროს ცნობილ აჭარელ წყალზე გადამრჩენს მამედ ბაირამ ოღლის, რომელმაც თავისი ცხოვრების 70 წლის მანძილზე ზღვის ტალღებს გამოჰგლიჯა 4 ათასამდე კაცი, და რომელიც იქნება ნოვიკოვ-პრიბოის მომაყალი ნაწარმოების გმირი.

ამჟამად ნოვიკოვ-პრიბოი პარალელურად მუშაობს ნაწარმოებზე—„პირველი რანგის კაპიტანი“, რომელიც მზად იქნება დასაბეჭდად ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლის თავისათვის. ნოვიკოვ-პრიბოი აჭარაში დარჩება რამდენიმე დღეს, შემდეგ სევასტოპოლზე გავლით მოსკოვს გაემგზავრება.

თბილისის ფიზკულტურელთა, პარადი 18 მაისს. სუთარზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ერთერთი კოლონა; მოზარდ რეკორდსმენთა ჯგუფი; დინამოელები.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ განყ.)

მზადება ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის მოსკოვში

მოსკოვი, 19 მაისი (საკ. კორ.) მოსკოვის ლიტერატურული საზოგადოებრიობა ცხოველ ინტერესს იჩენს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეებისადმი. წიგნის მაღაზიებში დიდი მოთხოვნილებაა „გოსლიტიზდატის“ მიერ ახლახან გამოცემული „ი. ჭავჭავაძის რჩეულ მოთხრობათა“ პირველ ტომზე. ამ წიგნის თარგმანი ეკუთვნის ელენე ლოლობერიძეს, რედაქცია გოლცევისაა. წიგნს წამძღვარებული აქვს გერ. ქიქოძის წინასიტყვაობა.

მზადდება გამოსაცემად მეორე ტომი, რომელშიაც შევა ილიას რჩეული ლექსები და პოემები ბორის ბრიკის თარგმანით. ჭავჭავაძის სხვადასხვა თხზულებების თარგმნაზე მუშაობენ—დურკოვი, დერჟავინი და შერვინსკი.

ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის ემზადებიან აგრეთვე ლიტერატურული ჟურნალები. „ლიტერატურნი კრიტიკ“ უახლოესი ნომრისათვის ამზადებს შ. რადიანის წერილს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ. ჟურნალი „კრასნაია ნოვ“ მეექვსე ნომერში ბეჭდავს ბ. ეულენტის წერილს ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობის შესახებ და ილიას რამდენიმე რჩეულ ლექსს დერჟავინის ნათარგმნს. ჟურნ. „ლიტერატურნოე ობოზრენიე“ მეათე ნომერში მოთავსებული იქნება სპეციალური წერილი, მიძღვნილი ჭავჭავაძის ნაწარმოებთა უკვე გამოსული პირველი ტომისადმი. ჟურნალი „30 დეი“ ბეჭდავს წერილებს ილიას შემოქმედებაზე და ათავსებს მის რამდენიმე ლექსს. „ნოვი მირი“ ბეჭდავს პოემა „განდეგილს“ (თარგმანი ბრიკისა). „ლიტერატურნაია გაზეთა“ ამზადებს სპეციალურ ნომერს, მიძღვნილს ილია ჭავჭავაძისადმი.

17 მაისის „იზვესტიაში“ დაიბეჭდა „ბაზალეთის ტბა“. ამ ლექსის თარგმანი ეკუთვნის დერჟავინს. გუშინ საღამოსვე მწერალთა სახლში ეს ლექსი წაიკითხა მკითე თეატრის მსახიობმა აქსიონოვმა. მწერალთა სახლში მოწყობილია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა წიგნების (ქართული გამოცემები) გამოფენა.

○ ○ ○

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო გამოფენათვის გროვდება დიდძალი დოკუმენტები, ავტოგრაფები და სხვა მასალა. მათ შორის არის პოეტის გამოუქვეყნებელი წერილები, დიდძალი მოგონებები. ისინი შეტანილი იქნებიან სპეციალურ კრებულში, რომელსაც პოეტი გ. ლეონიძე რედაქტორობს.

გამოფენაზე აწყობენ ცალკე კუთხეს, რომელიც ასახავს დიდი პოეტის ბავშვობის პერიოდს. ამასთანავე აღდგენილი იქნება მისი სამუშაო კაბინეტის ერთი ნაწილი.

○

ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის სახელზე მიღებულია დეპეშები ჯაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, უზბეკისტანიდან და სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან ი. ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით მათთვის პოეტის ნაწერებისა და ბიოგრაფიის გაგზავნის შესახებ.

საიუბილეო კომიტეტი მათ უგზავნის ქ. რაჭელაშვილის ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის რუსულ თარგმანს და გოლცევის რედაქციით რუსულად გამოცემულ ილიას ნაწარმოებებს.

○

თბილისის საორთქლმავლო დეპოში გაცხოველებით ემზადებიან ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის. სპეციალურად გამოყოფილმა აგიტატორებმა საამქროებსა და ბრიგადებში ჩაატარეს პირველი საუბარი ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მუშათა წრეებში დაიწყო ილიას მოთხრობებისა და ლექსების კითხვა. გარდა ამისა, ყოველდღე რადიოს საშუალებით სწარმოებს ილიას ნაწარმოებთა გადაცემა.

24 მაისს ეწყობა დეპოს მუშათა მასობრივი ექსკურსია ყვარელში, ხოლო 29 მაისს ჩატარდება ლიტერატურული საღამო.

ბრძოლა ახალი რეკორდებისათვის

15-დან 25 ივნისამდე დნეპროპეტროვსკში დანიშნულია სრულიად საკავშირო სპარტაკიადის შეჯიბრება. აქ თავს მოიყრიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო პლანერისტები, რომ გვიჩვენონ თავიანთი უკანასკნელი მიღწევები პლანერით ხანგრძლივ ფრენაში.

საქართველოდან შეკიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ პლანერისტები პრაიერი, ცაგარელი და ქათამაძე, მათ თან მიჰყვება საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის უფროსი მფრინავი ა.ა. ოდიშარია

— 16 და 17 მაისს ჩვენმა პლანერისტებმა,—განუცხადა ჩვენს თანამშრომელს ამხ. ა. ოდიშარიამ—დაიწყეს სარეკორდო გაფრენებისათვის ვარჯიში. სავარჯიშო ფრენას ვახდენდით პლანერ „გნ—7“ და „გ—9“-ით. გამოირკვა, რომ საქართველოში ტოპოგრაფიულად და ჰაერის თერმიულ ნაკადთა მხრივ საუკეთესო პირობები გვაქვს არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო რეკორდების დასამყარებლად.

უახლოეს დღეებში პლანერებით შორს ფრენის რეკორდის დასამყარებლად გაეზრახებით გვაქვს მოვახდინოთ გაფრენა ხაშურიდან თბილისისა და ბაქოს მიმართულებით. წინასწარი ვარაუდით ჩვენს პლანერისტებს შესწევთ ძალა დაამყარონ ახალი რეკორდი. საამისოდ მათ ხელს უწყობს როგორც ტექნიკური, ისე ფიზიკური მომზადება.

სომეხ მხატვართა დელეგაციის გამგზავრება

სომეხ მხატვართა დელეგაციამ, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა თბილისში, დაათვალიერა საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიისათვის“; მხატვრები ესტუმრნენ აგრეთვე ხელოვნების მუზეუმს მეტეხში, გაეცნენ საქართველოს მხატვართა მუშაობას პირობებს და იმ თემატიურ მასალებს, რომლებზედაც მუშაობენ ამჟამად ჩვენი მხატვრები.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს აგრეთვე ხალხური შემოქმედების ნამუშევრები დელეგაციის დანარჩენი წევრები გამგზავრენ გუშინ.

◇

ბაქოდან თვითმფრინავების საღამო

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის პედაგოგიური ნაწილის ინიციატივით 13 მაისს მოეწყო ფრიადოსანთა თვითმფრინავების საღამო.

მე-17 სკოლის მე-7 კლასის ფრიადოსანმა მოწაფეებმა ეუნია ოქტიაშვილმა და მარო ვრეცუაშვილმა მშვენივრად წაიკითხეს ხალხთა დიდი ბელადის სტალინისა და მისი თანამებრძოლის ლ. ბერიასადმი მიძღვნილი ლექსები. არა ნაკლები ოსტატობით კითხულობდნენ სამაგიერო ლექსებს ფრიადოსანი გოგონები ლამარა ჩოჩუა, ლეილა ზამთარაძე, ნეფარიძე და სხვ.

ოსტატურად შეასრულა ფიზზაური და მთიური ცეკვა მე-16 სკოლის მე-III კლასის მოწაფემ თენგიზ ავალიანმა. ასევე კარგად იცეკვეს გოგი სელიავანაშვილმა, ვანო არჩუაძემ, ოთარ საიდამოსაშვილმა და სხვ.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ინიციატივა მისასალმებელია.

ალ. მიმინოშვილი



თბილისის ზოოპარკი. გიგანტური კუ, რომელიც 70 კილოგრამს იწონის. ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ნაკოლეონის კაბინეტი

ყველა, ვინც კი ოდნავ გაცნობილია ხაპოლეონის ლაშქრობათა რუკას, განცვიფრებული დარჩება, როდესაც ამ უდიდესი მხედართმთავრის კაბინეტს დასავლეთ საქართველოს ერთ პატარა რაიონულ ქალაქ ზუგდიდში ნახავს.

ნაპოლეონი არასოდეს არ ყოფილა ამიერ-კავკასიაში. მისი კაბინეტის ნივთები შემოუწიდავს აქ ნაპოლეონის ცნობილი მარშალის, ნეაპოლიტანის მეფის იოახიმ მიურატის შვილიშვილს—ამილ მიურატს. პრინცი ამილ მიურატი მაშინდელ სამეგრელოს სატახტო ქალაქში მოხვდა იმის გამო, რომ იგი ქმარი გახდა სამეგრელოს მთავრის ასულის სალომე დადიანისა.

სამეგრელო, მიურატას ჩამოსვლის წინ, ააოხრა თურქეთის მხედართმთავარმა ომერ-ფაშამ, რომელმაც გადასწვა დადიანის სასახლეები. საჭირო გახდა მათი ხელახლა აღდგენა. ნაპოლეონ მესამემ, საფრანგეთის მაშინდელმა იმპერატორმა, ახლად დაქორწინებული ამიუა ნაპოლეონ პირველას კაბინეტი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნაპოლეონისეული ყველა ნივთი, გაფანტული დადიანთა და მიურატის მამულებში, დიდის მზრუნველობით იყო თავმოყრილი ზუგდიდის მუზეუმში. აქ არის საწერი მაგიდა, განჯინა სავარძლები, შიფონერი, რომლებიც პირადად ხასელოვან სარაღის ეკუთვნოდა, მრავალი ათვისათი სურათი ბონაპარტისა და მისი მარშლებისა. უნიკალურ საგანძურს წარმოადგენს ნიღაბი, გადაღებული ხაპოლეონის სახიდან სიკვდილის შემდეგ მისი პირადი ექიმის ფ. ანტომარჩის მიერ. ასეთ ნიღაბი მსოფლიოში სამი თუ ოთხია სულ.

ზუგდიდის მუზეუმი მარტო ნაპოლეონის ოთახით რომ არის ცნობილი, სამეგრელოს ყოფილი მთავარი დადიანების სასახლეებიდან აქ თავმოყრილია იარაღის, ჯურქლისა და სურათების უმდიდრესი კოლექცია.

აქ ინახება ჯალათის უზარმაზარი ხანჯალი, გაკეთებული XII საუკუნეში, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნეში დადიანს ბრძანებით თავს ჰკვეთდნენ გლეხებს. აქვეა მეცხრე საუკუნის ბრწყინვალე ხმალი უძვირფასეს სერვიზებში ყურადღებას იქცევს ჩინური ვაზა, შეფასებული 100 ათას მანეთად ოქროთი.

სამწუხაროდ, მიუხედავად მუზეუმის ექსპონატთა განსაკუთრებული ღირებულებისა, რაც ითეულ მილიონებს აღწევს, მათი უმეტესობა არ არის კლასიფიცირებული. არ სჩანან აუცილებელი მეცნიერული ძალები.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი უნდა დაინმაროს სამეგრელოს მეტად საინტერესო მუზეუმს.

(„კომ. პრავდა“).

ი. აგრანოვსკი.

◇

ახალი წიგნები

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობამ „ფედერაციამ“ გამოსცა კარლო კალაძის ლექსების კრებული „ხერთვისის განთიადები“.

სახელმწიფო სალიტერატურო გამომცემლობამ გამოსცა დემნა შენგელაიას რომანი „ბათა ქექია“ თარგმანი ნ. ჩხეიძისა.

ინგლისური ენის გრამატიკა, შედგენილი დოც. ი. გვარჯალაძის მიერ, გამოვიდა პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის გამოცემით.

ხალოვნება

თბილისის თეატრების საზაფხულო გასხროლები

15 ივნისს იხურება მოზარდ მაყურებელთა თეატრის სეზონი. სეზონის დამთავრებამდე თეატრი გვიჩვენებს კიდევ ორ ახალ დადგმას: ალ. კაკაბაძეშვილის პიესას ესპანეთის ცხოვრებიდან „ადელანტე“ („წინ“) და ს. მთვარაძის პიესას მცირე ასაკის ბავშვთათვის „პირველი გემი“ (პიესის თემა — ნაოსნობა ლისის ტბაზე).

„ადელანტეს“ დადგმს თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალ. თაყაიშვილი, მხატვარი — გ. ვოლჩინსკი. „პირველ გემის“ მიღის რეჟისორი ბ. გამრეკელი დადგმით, მხატვარი — მ. გოცირიძე.

სეზონის დახურვის შემდეგ თეატრი სგასტროლოდ გაემგზავრება ქუთაისში, ბათუმში, ფოთსა და სოხუმში, სადაც მოამსახიობებს გაუწევენ ადგილობრივ მოსწავლე ახალგაზრდობას. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია „სურამის ციხე“, „არსენა მარაბდელი“, „ადელანტე“, „შორეული გზით“ და „ხაცარქვია“. თეატრი მიემგზავრება ერთი თვით მთელ თავისი შემადგენლობით.

○

5 ივნისს ერევანში იწყება ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის დრამატიული თეატრის გასტროლები. სულ გაემართება 25 სპექტაკლი. რეპერტუარში შედის: „ბატონი ოფიცრები“, „ბახტრი“, „ოკანასკნელი ხიდი“ და „სახელო“.

თეატრი მიემგზავრება სრული შემადგენლობით (100 კაცი), საკუთარი ორკესტრით, დეკორაციებით და კოსტუმებით.

გასტროლები დაიწყება „ბატონი ოფიცრებით“, დადგმა რეჟისორ ხიმ. ალექსიძისა.

◇

ხელოვნების ქრონიკა

● **„სამანიშვილის დედინაცვალი“.** დღეს, 20 მაისს, მარჯანიშვილის თეატრში მიდის მორიგი პრემიერა — დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, პიესად გადაკეთებული ჰ. გელეიშვილის მიერ. დადგმა რეჟ. დამს, ორტისტ შ. ღამბაშიძისა, მხატ.—დ. კაკაბაძე, სპექტაკლში მონაწილეობენ: ტასო აბაშიძე, გ. კოსტავა, შ. ჯაფარიძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. შავგულიძე, თ. ჩარკვიანი და სხვ.

● **ელ. ჩერქეზიშვილის** საღამო. დღეს, 20 მაისს, სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში გაიმართება ელ. ჩერქეზიშვილის 50 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო. სახალხო არტისტების ელ. ჩერქეზიშვილისა და ნიკო გოცირიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“.

◇

რკინიგზის სადგურების შეკეთება

სადგურებში მგზავრთათვის დასვენების პირობების შესაქმნელად, ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სადგურების წესრიგში მოსაყვანად.

კაპიტალური რემონტი უკეთდება 32 სადგურს, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე — 14-ს და მიმდინარე რემონტი 30-ს, აქედან საქართველოში — 21-ს.

ამ საქმისათვის გადადებულია 288.850 ქანეთი.

კაპიტალური რემონტის სამუშაოები გზაზე 1 ივლისისათვის უნდა მოთავდეს.

ფეხბურთი

„დინამო“ — „ინა უნივერსიტეტი“

24 მაისს წყდება ქალაქების ჩემპიონატის გათამაშება ფეხბურთში. ამ დღეს თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში 18 მაისს ჩაატარა სავარჯიშო მატჩი, სადღეს ოსტატებთან თამაშობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი.

ყველა მოელოდა, რომ „დინამო“ ადვილად სძლევდა სტუდენტების წინააღმდეგობას და მატჩს დიდი ანგარიშით მოიკრებდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, სტუდენტებმა ძლიერად ჩაატარეს თამაში და ბევრი „უსიამოვნება“ მიაყენეს საკავშირო პირველობის პრეტენდენტებს.

შეჯახება დამთავრდა 2:1 „დინამოს“ სასარგებლოდ. მეორე გადამწყვეტი ბურთი დინამოელებმა გაატანეს ხუთი წუთით ადრე თამაშის დამთავრებამდე და ამით თავი დააღწიეს ყაიმს.

უნივერსიტეტის გუნდი დიდი მონდომებით თამაშობდა. განსაკუთრებით კარგი იყო მეკარე კავსაძე.

◇

შემთხვევები

უპატრონობის შედეგი. 17 მაისს დღისით კალინინის ქუჩაზე № 1 მარშრუტას ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ი. ს. თედიაშვილი, დაეჯახა მცირეწლოვან ბავშვს ს. ას. მინდიაშვილს (გოცირიძის ქ. № 33) და მძიმედ დაშავება. ბავშვი საავადმყოფოში მოათავსეს.

იმავე დღეს საღამოს კლარა ცეტკინის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ი. ა. ხუნდაძე, დაეჯახა მცირეწლოვან ბიჭს ე. ა. ხუდოიევს (ფოთის ქ. № 22), რომელიც ავტომეტი მძიმედ დაშავდა.

თითქმის იმავე დროს მიასკოვის ქუჩაზე № 5 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი დაეჯახა 8 წლის ლ. მ. ყაზარავს, ბიჭი მძიმედ დაშავდა. ტატმანება პასუხისგებაში მიცეს.

მკვლელობა. მიმდინარე წლის მარტში ქალაქ წულუკიძის ელექტრონისადგურის სადგურის არხში ამოუვს 22—24 წლის უცნობი მოქალაქის გვამი, რომელსაც მიბმული ჰქონდა დიდი ლოდი. მოკლულში გამოაცნეს ქალაქ წულუკიძის მცხოვრები მოქ. პ. პ. პოდოშევსკი.

ამ ფაქტის გამო რაიონული პარტკაბინეტში შესდგება აგიტპუნქტების მორიგი მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე თემა: „საბჭოთა კავშირის კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ“.

○

20 მაისს, საღამოს 7 საათზე, 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „ამხანაგ სტალინის წერილი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგენლებს“.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი წინადადებას აძლევს ყოფ-მუნჯთა საზოგადოების აგენტს ფაბრიკის ყოფილ პარტორგს კვლენიკე გრიგოლის-ძე მახარაძეს დაუყოვნებლივ გამოცხადდეს რაიკომის მდივანთან ამხ. ოგანეზოვთან.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე

ა. იაკობაშვილი

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „გლეხთა საკითხი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციაში“ — რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ბრძოლა ტროცკისტური ანტილენინური ბლოკის დამარცხებისათვის“ — ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. თაყაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ძირეული პოლიტიკური აგიტაციის დაყენების შესახებ საწარმოებში“ — რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. არჩაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

დღეს, 20 მაისს, საღამოს 7 საათზე, ორჯონაკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მორიგი მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე თემა: „საბჭოთა კავშირის კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ“.

○

20 მაისს, საღამოს 7 საათზე, 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „ამხანაგ სტალინის წერილი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგენლებს“.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი წინადადებას აძლევს ყოფ-მუნჯთა საზოგადოების აგენტს ფაბრიკის ყოფილ პარტორგს კვლენიკე გრიგოლის-ძე მახარაძეს დაუყოვნებლივ გამოცხადდეს რაიკომის მდივანთან ამხ. ოგანეზოვთან.

ცეკავშირთან არსებული რძის პროდუქტთა და კვერცხ-ფრინველის დამზადების გაერთიანება „რძეფრინველცენტრის“ შენაერთი წლიური ბალანსი 1937 წ. 1-ლი იანვრისათვის.

აქტივი

№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა მან.	თანხა კ.
1.	საქონელი და მზა ნაწარმი	1.504610	—
2.	ფულადი საშუალებანი	136.772	—
3.	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	976.781	—
4.	ანგარიშვალდებული პირნი	9.340	—
5.	ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშში	38.817	—
6.	განყენებული საშუალებანი	182.183	—
7.	ძირითადი საშუალებანი არა ამორტიზ. ნაწილები	581.156	—
8.	მასალების, ნედლეულის და სათბობის მარაგი	383.573	—
9.	დაუმთავრებელი წარმოება და გადამუშავება	151.540	—
	ბალანსი	3.964.772	—

პასივი

№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა მან.	თანხა კ.
1.	ფონდები	500.242	—
2.	გრძელვადიანი კრედიტები	111.552	—
3.	მოკლევადიანი კრედიტები	1.639.518	—
4.	საშუალებანი ანგარიშსწორებით	1.307.302	—
5.	საანგარიშო წლის დაგროვებანი	406.158	—
	ბალანსი	3.964.772	—

1936 წ. საოპერაციო წლის მოგებისა და ზარალის ანგარიში

№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა მან.	თანხა კ.
1.	საოპერაციო ხარჯები	793.774	—
2.	ადმ.-სამ. ხარჯები	195.175	—
3.	შინა სამეურნეო ანარიცხები	369.050	—
	სულ საერთო ზარალი	1.357.999	—
	წმინდა მოგება	406.158	—
	ბალანსი	1.764.157	—

№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა მან.	თანხა კ.
1.	საოპერაციო შემოსავალი	1.764.157	—
	სულ საერთო შემოსავალი	1.764.157	
	ბალანსი	1.764.157	—

ბალანსი დამტკიცებულია ცეკავშირის პრეზიდიუმის მიერ 1937 წლის 6 იანვარს.

დირექტორი: ჩილ-აკოპიანი

მთ. ბუხჰალტერი ერისთავი

„ცეკავშირის“ დარგობრივ გაერთიანება „საქცხოველნედლეულის“ ბალანსი 1937 წლ. 1-ლი იანვრისათვის 1936 წ. 1-ლი იანვრის ბალანსთან შედარებით

აქტივი (მანეთებში) პასივი

მუხლების დასახელება	1936 წლის 1-ლი იანვრისათვის	1937 წლის 1-ლი იანვრისათვის
1. საქონელი და მზა ნაწარმი	355.360	214.500
2. ფულადი საშუალებანი	80.426	63.379
3. საშუალებანი ანგარიშსწორებაში	26.321	214.360
4. ანგარიშვალდებული პირნი	21.654	5.668
5. მომავალი დროის ხარჯები	2.250	1.870
6. განყენებული საშუალებანი	20.544	83.596
7. ძირითადი საშუალებები არაამორტიზ. ნაწ.	112.228	74.035
8. მასალების, ნედლეულის და სათბობის მარაგი	7.906	19.923
9. დაუმთავრებელი წარმოება და გადამუშავ.	—	144.064
ბალანსი	626.689	821.395

მუხლების დასახელება	1936 წლის 1-ლი იანვრისათვის	1937 წლ. 1-ლი იანვრისათვის
1. ფონდები	20.776	84.898
2. რეზერვები და სარეგულ. ანგარიშები	2.093	1.966
3. გრძელვადიანი კრედიტები	157.500	81.400
4. მოკლევადიანი კრედიტები	182.000	365.669
5. საშუალებანი ანგარიშსწორებაში	162.654	118.314
6. შინა ანგარიშსწორებანი	87.337	95.791
7. დაგროვება მიმდინარე წლისა	14.324	73.357
ბალანსი:	626.689	821.395

1936 საოპერაციო წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

მუხლების დასახელება	თანხა
1. მიმოქცევის ხარჯები	201.548
2. ადმინისტრატიულ-სამმართვ. ხარჯები	161.138
3. დანარჩენი დანაკარგები	42.250
	404.936
დაგროვების სალდო	73.357
ბალანსი	478.293

მუხლების დასახელება	თანხა
1. რეალიზებული დარიცხვა და მიღებული კომისია	407.439
2. საექსპლოატაციო წამოწყებათა დაგროვება	46 819
3. დანარჩენი დაგროვება	24 035
ბალანსი	478 293

ბალანსი განხილულია და დამტკიცებულია ცეკავშირის პრეზიდიუმის მიერ ა. წ. 8/I ოქმი № 1.

საქცხოველნედლეულის დირექტორი სანაკოევი.

მთავარი ბუხჰალტერი გრიქუროვი.

1539

თბილისის ამხ. ს. კუდრიავცევის სახ. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დირექცია აწარმოებს მოზრდილ მუშა მოწაფეთა მიღებას საქსოვ, საქსელე, სახვევ და სხვა პროფესიებზე.

მიიღებიან მოქალაქეები 18 წლისა და ზევით.

სამუშაოზე მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პასპორტი ქ. თბილისის გაწერით.

მიღებას აწარმოებს ფაბრიკის კადრების განყოფილება დილის 9 საათიდან 4 საათამდე.

პირობების გაგება იქნეს, ლენინის ქ. № 75.

2—2 1093

დირექცია.

ექიმი ი. ჭეიშვილი

კანის და ვენერიული ავად.

იღებს: დილის 8—9 ს. და საღამოს 7—8 ს

კამოს ქუჩა № 72.

ანნა, დავითი, მარგარიტა, გერგო და გენო პოპოვები მწუხარებით იუწყებიან საყვარელ

ლევან აბრამის-ძე ბაღაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/V 4 საათ. ბოქორიშვილის ქუჩა № 32

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

20-V სამანიშვილის დედინაცვალი

21-V სამანიშვილის დედინაცვალი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ

დღეს კინოთეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11 — დადგმის მე-2 კვირა ბმოვანი სურათი ქართულ ენაზე დაკიკო

დამკვრელი 6-30, 8, 9-30 11 — (საზამთ. და საზაფხ.) ახალი ხმოვ. მხატ. ფილმი ჟორჟინება ხ. გოგოლის მიხედ.

კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30 — (სახზაფხ. და სახზამთრო) დადგ. მე-2 ქ. ხმოვ. სურ. ქართულ ენაზე დარიჯის ვილი

რ. ლუქსემბ. სახ 6-30, 8-30, 10-30 — დადგმის მე 4 კვირა ხმოვ. სურ. ქართულ ენაზე ჯარიჯის ვილი

26 კომ. სახ. 6-30. 8-30. 10-30 — (სახ. და საზაფხ.) დადგმის მე-2 კვ. ხმ. სურ. ქართულ ენაზე დარიკო

ახალი ამბები. — ხმ. ჟურნ. I-ლი ტაისი მო